1996
7-9

# საქართველოს ქალი

პარადოქსი: ჰიტლერის მიერ აშენებულ ჰოსპიტალში გერმანელი ქალები დღეს სტერილიზაციას იკეთებენ
გვ. 4

კრიმსკოის „უცნობი ქალის პორტრეტიდან" ქართველი ქალი გვიმზერს
გვ. 6

ნომერში — ცნობილი პოეტის **ნაზი კილასონიას** მემუარები
გვ. 8

მიჩვენეთ ბედნიერი ჰომოსექსუალისტი და...
გვ. 14

ურევია თუ არა ქალის გაჩენაში ღმერთი?
გვ. 18

ქორწინება და განქორწინება ამერიკულად
გვ. 20

ქართველები საერთაშორისო პოდიუმებისაკენ იჩქარებიან
გვ. 21

რატომ ავადმყოფობენ ქალები?
გვ. 23



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოგოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — დედაშვილობა
მეოთხეზე — სკოლისაკენ.
დავით იაკობაშვილის ფოტოები.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the Republic of Georgia



„საქართველო, თბილისი — ასი ათასი მოწამის ალილუია, ვახტანგ გორგასალია, დავით აღმაშენებელი, თამარი...“
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

# ეკლესია

ეკლესია არს სახე მაცხოვრის, საფარველია წმიდა ღვთისმშობლის,
მზე სიმართლისა, პური არსობის, მომნიჭებელი გულისხმისყოფის,
საიდუმლოა წმიდა სერობის, ქრისტეს ურნატი — დედა სიცოცხლის,
დიდმოწამეა ვითარ გიორგი, აიაზმა და ჯვარი ნ ი ნ ო ს ი.
ეკლესია არს საყდარი ღმერთის, საფსალმუნეა დავითის ებნის,
მაყვლოვანია მსგავსი ედემის, საუფლო კვართის განსასვენები,
ბეთლემად რგული, უცხოდ შემკული, ბაბილო ნორჩი — ხე საცნაური,
მიწის მანანა ზეცით მოსილი, ანგელოზთ დასი — არსნი ციური.
ეკლესია არს ბარძიმი უფლის, კიდობანია საწამებელი,
მოსეს კვერთხია, ნოეს კარავი, სალოცავი და სასაკმეველი,
წმიდა ემბაზი ნათლისმცემელის, სულისწმიდითა გაბრწყინებული,
ცხოველმყოფელი სვეტიცხოველი, აპოკალიფსი განცხადებული.
ეკლესია არს სავანე ღმერთის, საშვებელია განსაკვირველი,
სახმილავია განსაკრთომელი, ადამის ძეთა განსაწმედელი,
რტო ზეთისხილის — მაცნე სიკეთის, მირონმდინარე დაუწყვედელი,
პეტრეს ცრემლები აღმსარებელი, სამარადისოდ სახსენებელი,
ეკლესია არს მშობელი ქვეყნის — აწმყო, წარსული და მომავალი,
თვით ლაზარეა მიძინებული, მიწყივ მკვდარი და მიწყივ აღმდგარი,
ხვარაზმელთაგან ამოწყვეტილი — ასი ათასი ქრისტეს მხედარი,
სამკვიდრებელი აღმაშენებლის, ბრძენი რუსთველის, დიდი თამარის...
ეკლესია არს წმიდანთ საძვლე: დავით გარეჯის, შიო მღვიმელის,
ქეთევანის თუ ბერი თევდორეს, შუშანიკის თუ აბო თბილელის,
ეკლესიაა ვაჟას მინდია, ილიას რწმენა, საბას ქართული
აკაკის ჩანგი, ტატოს მერანი, სიყვარულია ღვთის და მამულის!

ილუმენია დედა ქეთევანი (კოპალიანი)
მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“



საერთაშორისო საზოგადოება და მისი პრეზიდენტი ნანული შევარდნაძე აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან.

# მშვიდობა და სიცოცხლე — მარადიული მიზანი

მშვიდობაცა და სიცოცხლეც მარადიული ღირებულებებია. მშვიდობაცა და სიცოცხლეც მარადიული მიზანია. მშვიდობაცა და სიცოცხლეც კაცობრიობის მარადიული პრობლემებია. მშვიდობაცა და სიცოცხლეც უერთმანეთოდ აზრს კარგავენ. ეს განსაკუთრებით მწვავედ დღეს — დროთა კავშირის ორმაგ მიჯნაზე ჟღერს. მიჯნაზე, როცა არამარტო საუკუნე, ათასწლეულებიც იცვლება. ოცდამეერთე საუკუნეში, ანუ მესამე ათასწლეულში მშვიდობითა და სიცოცხლით თუ არ შევაბიჯეთ, ომებითა და კაცთა კვლის ცოდვით ადუღებული პლანეტა რისხვით შემოგვიბრუნდება და კაცმა არ იცის, რა კატასტროფებს დაგვატეხს. ამ განსაცდელს ყველაზე უმალ ქალის ინტუიცია გრძნობს. მწარე პერსპექტივის მოლოდინში იგი პასიური ვერ დარჩება, გულხელდაკრეფილი ვერ იქნება.

საქართველოს ქალებმა ამ ბოლო წლებში ბევრი სიმწარე და უბედურება გამოიარეს, 1992 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ქალბატონ ნანი ჭანიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“. იმ უმძიმეს დღეებში საზოგადოებაში გაერთიანებულმა ქალებმა ნანატრი მშვიდობის მოპოვებაში საკუთარი წვლილის, პირადი ძალისხმევის მიზანი დაისახეს. რითაც შეეძლოთ და არ შეეძლოთ, თავს არ იზოგავდნენ. მოძრაობა „თეთრი მანდილის“ ეგიდით დაპირისპირებულთა გასაშველებლად აფხაზეთის ფრონტზეც კი ჩავიდნენ. მათ ნაკვალევზე მეორე დღეს კვლავ ჭურვები სკდებოდა და ყველაფერი ინგრეოდა, ხალხი საკუთარ მიწა-წყალს ეწირებოდა.

ასეთ დროს საზოგადოების პრეზიდენტობა ქალბატონ ნანული შევარდნაძეს სთხოვეს. მისმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ საზოგადობის ცენზის ამაღლებაში — საერთაშორისო მასშტაბის მოპოვებაში. დაიწყო საზოგადოების მისიის მეორე ეტაპისათვის ბრძოლა: ჯანმრთელობის, ეკოლოგიის, განათლების, კულტურის და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. საზოგადოების სახელწოდება უფრო დაკონკრეტდა — საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“. იგი საქველმოქმედო პროფილისაა.

საზოგადოებამ ორიენტაცია სოციალურად მძიმე პირობებში მყოფი ადამიანების დახმარებაზე აიღო. მათ შორის არიან ლტოლვილები, უპატრონო მოხუცები, უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოზარდები და სხვა.

მრავალმხრივი დახმარება როგორც ორგანიზებულ, ისე ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და დიფერენცირებული პროგრამით ხორციელდება. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ ჩამოვთვლით:

აიღეს შეფობა აბასთუმნის ტუბსაავადმყოფოსა და ბავშვთა სანატორიუმ „ცისარტყელაში“ იმერეთიდან ორგანიზებულად განთავსებულ პაციენტებზე. დააწესეს გრაფიკი, რომლის თანახმად საკვები პროდუქტებით მომარაგება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს დაევალა. ტუბინსტიტუტს საზოგადოება ენერგოპრობლემის გადაჭრაში დაეხმარა.

საზოგადობის ბაზაზე მოქმედი კომპლექსური სამედიცინო ბრიგადა ხობის, ლაგოდეხის, მცხეთის, სენაკის, ჩხოროწყუს, რუსთავისა და თბილისის გლდანის რიონის მოსახლეობას უფასო გამოკვლევებით მოემსახურა და მედიკამენტებით მოამარაგა.

თბილისის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი — სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკა (ბავშვთა მე-2 საავადმყოფო) საკვები პროდუქტებით, დღენაკლულ ჩვილთა განყოფილება კი ჟანგბადით უზრუნველყვეს. მოუგვარეს ახალი სატელეფონო ნომრების გამოყოფის საქმეც.

ქალთა საერთაშორისო საზოგადოების საგანგებო ყურადღების საგანი გახლავთ მშობლიურ ზრუნვას მოკლებულ ძეგვის ბავშვთა სახლის კონტინგენტი.

საზოგადოების ეგიდით ვაკისა და დიდუბის რაიონებში მატერიალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური ფუნქციონირებს.

ეხმარებიან გაჭირვებაში ჩავარდნილ ინტელიგენციას. საზოგადოება ზრუნავს დედათა და ბავშვთა საკითხებზე. სამომავლოდ, ქალთა დიაგნოსტირების მიზნით, საზოგადოება მამოგრაფიული აპარატურის შემოტანას შეეცდება, ბავშვთა სანატორიუმზეც ოცნებობენ.

სულ უფრო ფართოვდება საზოგადოების საერთაშორისო გეოგრაფია. მისი განყოფილებები მუშაობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, თურქეთში, რუსეთში. მათ აღნიშნულ ქვეყნებში აკრედიტებული საქართველოს ელჩების მეუღლეები ხელმძღვანელობენ.

ქალთა საზოგადოებასთან ნაყოფიერად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ფირმები და ორგანიზაციები, ცალკეული მოღვაწეები. ქალბატონი ნანული შევარდნაძე ამერიკაში ვიზიტის დროს შეხვდა და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრა ქალბატონ ჰილარი კლინტონს. შეერთებულ შტატებში ქალბატონი ნანული როზალინ კარტერის მიწვევით იმყოფებოდა და მონაწილეობდა არასამთავრობო საერთაშორისო კონფერენციაში „პარტნიორობა ჯანმრთელობისათვის“. ეს ვიზიტი მიზნად უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაცნობას და მათთან ურთიერთობის დამყარებას ისახავდა. საქართველოს ქალთა საზოგადოებისათვის უცხოელი კოლეგების მხარდაჭერასა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის პირველ ქალბატონებთან შეხვედრების პრაქტიკაც. როგორც წესი, პირველი ქალბატონები ყველგან თითქმის ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან, ამას კი მომავალი თანამშრომლობის კონსოლიდაცია და საგრძნობი შედეგების მოტანა შეუძლია.

საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საქმიანობას სისტემატიურად აშუქებს საზოგადოების გაზეთი „მშვიდობა ყოველთა“. საზოგადოების ქსელი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოქმედებს.

იმედია, საქართველოს ქალთა აღნიშნული გაერთიანება არაერთი სასიკეთო საქმით წარმოჩნდება.

**მარინა ბუზუკაშვილი**

# ✻ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ✻



ცარო ვარდიშვილი ბავშვებთან

შეჭირვებულმა ყოფამ დაღი დაასვა ყველაფერს. დედაშვილობასაც კი გამოაცალა ფეხქვეშ ნიადაგი... (note: see below)

ალკოჰოლსა და უწესო ცხოვრებას ნაზიარები ქალები შვილებს ქუჩის ანაბარად სტოვებენ. ხელგაწვდილი მაწანწალა ბავშვები შველას ითხოვენ. ისინი დღეს მათხოვრობენ — ახალბედები ხელის კანკალით, — გამოცდილები ჯიქურ, დარცხვენის გარეშე.

ქუჩამ არ იცის დათმობა, ოდითგანვე დაუნდობელი იყო მისი კანონები. ქუჩის წყალობით მშობლებისაგან უარყოფილ ამ პატარა ადამიანებს შუბლზე ძარცვის გაწყვეტა და დამნაშავედ ჩამოყალიბება ემუქრება.

საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერმა კეთილი საქმე წამოიწყო. თბილისის ქუჩებში მოხეტიალე ბავშვები შეიფარა და მათ ბინა სოფელ ძეგვში მიუჩინა.

**უქმურ, წვიმიან დღეს ვესტუმრეთ ძეგვის ბავშვთა სახლს. აქ სამოცამდე ბავშვი ჰყავთ. ისინი ოჯახებად ცხოვრობენ. ოჯახების „მშობლები“ ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები არიან.**

**ცარო ვარდიშვილი — ოცდაამი წლის, გასათხოვარი, სიყვარულით და იუმორით სავსე, ხალისიანი, იმედიანი, სახიამოვნო მოხაუბრე თორმეტშვილიანი ოჯახის დედა...**

**— მყავს მშობლები, დები, ახლობლები, მეგობრები და ჩემი თორმეტი შვილი. როგორ ვიქეცი მრავალშვილიან დედად? — ეკლესიაში მივედი. იყო რაღაც პირადული... ვცხოვრობდი ფერისცვალების დედათა მონასტერში. იქ პატარა, უპატრონო ბავშვები მოდიოდნენ. მათ ვბანდით, ვაჭმევდით. მთხოვეს დახმარება, უარი ვერ ვუთხარი. მუშაობის დაწყებას ვაპირებდი. მახსოვს, პარასკევი დღე იყო. ორშაბათისთვის დამიბარეს. იმის შემდეგ ბევრმა ორშაბათმა ჩაიარა. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული წითელ დიპლომზე, სკოლაშიც ფრიადზე ვსწავლობდი, ვმუშაობდი საგამომძიებლო იზოლატორში, პარალელურად ვსწავლობდი უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ყველაფერს თავი დავანებე, რადგან მივხვდი, რომ ის ყველაფერი უაზრობა იყო ამ ბავშვების ბედთან შედარებით. ამათზე კარგი ბავშვები ქვეყანაზე არ მეგულება. მათ მონასტრიდან მოვყვები. ძნელი გზა გავიარეთ. ვიყავით დარეჯანის სასახლეში, შემდეგ კარვებშიც ვიცხოვრეთ, ახლა ღვთის წყალობით ეს შენობა გამოგვიყვეს და ცოტა ამოვისუნთქეთ.**

**რწმენა მაქვს, მაგრამ რომ გითხრათ, რწმენის გულისთვის ვაკეთებ ყოველივე ამას-მეთქი, არ ვიქნები მართალი. გულჩვილი არასოდეს ვყოფილვარ. პირიქით, ზედმეტად გულგრილი ვიყავი, ვერ ვამჩნევდი ქუჩის გასაჭირს... ახლა სხვაა. ეკლესიაშიც ველარ დავდივარ, დიდხანს ვერ ვტოვებ ბავშვებს. მთელი წელია შინ არ ვყოფილვარ.**

**ოჯახში ყველას ვეცოდებოდი. მაიძულებდნენ, დავბრუნებულიყავი სახლში. შვიდი ბავშვით მივადექი მშობლებს. მთელი თვე ვცხოვრობდით იქ. მათ ბავშვების გამოშვება აღარ უნდოდათ.**

**ყოველთვის კარგი დამოკიდებულება მქონდა მშობლებთან. ოცდახამი წლის ვარ და ხმამაღალი სიტყვა არ მითქვამს დედისთვის, და მაინც, ჩემი ურთიერთობა ამ ბავშვებთან უფრო თბილია და მეგობრული.**

— ბავშვების განაწილების პრინციპი?

**— და-ძმები, ნათესავები, მეგობრები, ნათლიები (მათ ერთმანეთი მონათლეს).**

— სწავლა?

**— არანაირი. არა გვაქვს ლიტერატურა, სახელმძღვანელო წიგნები, უფრო დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოები გვეპატიოება, რადგან ბავშვების უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცის.**

— რა ეროვნების ბავშვები გყავთ?

**— მრავალი ეროვნების. უკრაინელი და-ძმა გვყავდა. თბილისში ისინი დედამ ჩამოიყვანა. შემდეგ მესამეც გააჩინა. პატარის შესახებ ვერაფერს გეტყვი, არავინ იცის, სად წაიყვანა. თვითონ თურქეთში დაიწყო სიარული, ბავშვები ბედის ანაბარა მიატოვა. ისინი აქ მოხვდნენ. საქმეში ჩაერია მათი საელჩო და ბავშვები სამშობლოში დააბრუნეს ბებიასთან.**

— თვითონ სრულიად ახალგაზრდა ხარ, მომხიბლავი, ხომ უნდა შექმნა საკუთარი ოჯახი..

**— სხვის შვილებს რომ ზრდი, ღმერთი შენსასაც აუცილებლად მოგცემს. თუ გავთხოვდი, გავთხოვდები თორმეტი შვილის დედა. უფროსი თოთხმეტი წლის მყავს, უმცროსი — ოთხის. სანამ ამათ გზაზე დაყენებულებს არ ვნახავ, ჩემს პირადულზე ვერ ვიზრუნებ.**

— ხელფასს თუ იღებთ?

**— წარმოიდგინეთ, შვილების აღზრდაში დედამ ფული აიღოს, ან ხელფასი მოითხოვოს. ადრე ვერ წარმომედგინა უფულოდ ყოფნა. ჩვიდმეტი წლიდან თავს თვითონ ვინახავდი, მქონდა კარგი სტიპენდია, კარგი ხელფასი, იქით ვეხმარებოდი მშობლებს. ახლა მივეჩვიე უფულობას. მომავალში გამოინახება სახსრები, რომ ოჯახის უფროსმა შეძლოს ფულის აღება. ახლა ავტობუსი შევიძინეთ. სოფელი უცებ არ აშენდება. მომავალში ბედის ანაბარა არავინ დარჩება. ყველა ისწავლის, ყველა იმუშავებს, ყველა ოჯახს ექნება დიდი, კეთილმოწყობილი ფუძე და ჭერი.**

**დღეს ელემენტარული პირობები გვაქვს, არ გვშია, არ გვცივა. ყველაფერი მხოლოდ იწყება. შეჩერება არ შეიძლება. ყველამ უნდა გაიღოს თავისი წილი გასაღებელი, თორემ ღმერთი არ გვაპატიებს ამ ბავშვების მეორედ მოტყუებას და ღალატს.**

**მათ მხოლოდ სიყვარული აკლდათ. საბედნიეროდ, ჩვენ აღმოგვაჩნდა სიყვარულის უნარი და შევუვსეთ სიცარიელე. ახლა ისინი სრულფასოვანი ადამიანები არიან და მჯერა თითოეული ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბდება. უყვართ შრომა, ურთიერთდახმარება.**

— აქ თუ ყოფილა ქურდობის შემთხვევა?

**— ბავშვმა რაღაც აიღო, ე. ი. სჭირდება, ამას აქ ქურდობა არ ჰქვია. საბედნიეროდ, არცერთი შემთხვევა არ ყოფილა.**

— თუ გაქვთ გაშვილების უფლება და არიან თუ არა შვილების მსურველნი?

**— უამრავი ხალხი მოდის. მათ უნდათ წაიყვანონ და იშვილონ ბავშვები. მაგრამ ჯერ ერთი ამის კანონი არ არსებობს, არ არსებობს ამ ბავშვების პირადი საქმეებიც. თუმცა, რომც იყოს კანონი, მე არც ერთ ჩემს შვილს არ გავაშვილებ.**

— ობლებიც გყავთ?

**— არა**

**ოთახში ცაროს უმცროსი გოგონა შემოდის.**

**— გიყვარს ცარო? ბავშვი პასუხის მაგიერ დედის ფეხებთან ცუცქდება, მუხლებზე ხელებს ხვევს და მთელი სხეულით ეხუტება. კარი იღება და იხურება. თბილ ბუხართან ნელ-ნელა გროვდებიან ცაროს შვილები.**

**როგორც ყველა დედა, ცაროც არ იღლება ბავშვებზე საუბრით. აქებს მათ, ახასიათებს თითოეულს.**

**— ერთ ბავშვს ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავუკეთეთ. ბევრი ბავშვია ფილტვებით დაავადებული. დიფტერიის საწინააღმდეგო აცრები ჩატარებულია. მცხეთიდან იყვნენ, მაგრამ ყველას არ ეყო ვაქცინა.**

**ეს ბიჭი რაჭველია.**

— დედიკო სად არის?

**— თურქეთში.**

— მამიკო?

**— რუსეთში.**

— აქ ვინ მოგიყვანა?

**— ეკლესიაში დედაჩემის მეგობარმა მიმიყვანა.**

**— ნატო რომ მოიყვანეს (წარმოიდგინეთ ექვსი წლის ქერა, ცისფერთვალება ულამაზესი ბავშვი), ფეხი თუ მოურჩებოდა, არ მეგონა, თითქმის ძვლამდე ჰქონდა დამპალი. ზამთარში შიშველ ფეხებზე რეზინის დაგლეჯილი ბოტები ეცვა. დღეს ბევრი უკვე მალავს, რომ მათხოვრობდა, მათში თავმოყვარეობამ გაიღვიძა.**

**ზვიად კოპაძე — ხარაგაულის რაიონიდან: მამაჩემმა მიმიყვანა ეკლესიაში, დედას ფეხი არა აქვს. სახლში ხუთი ძმა ვიყავით. მე ყველაზე უმცროსი ვარ. აქ კარგად ვგრძნობ თავს. მინდა მემანქანე გამოვიდე. მინდა ჩქარა გავიზარდო. ჩემი ძმა თვრამეტი წლის დაჯდა მატარებელზე. მე ეგებ ჩვიდმეტი წლისამ შევძლო, ეგებ დამეხმაროთ!..**

**გიორგი: მალე ცამეტი წლის გავხდები. ვწერ ლექსებს. მიყვარს ხატვა. დავხატე ანტონ მარტყოფელი. ზეპირად დავხატე. ხატებს ვუყურებ დიდხანს, ვსწავლობ და შემდეგ ზეპირად ვხატავ. მინდა ხატწერა ვისწავლო. რუსთავიდან ვარ. დედ-მამა კი მყავს. მაგრამ გაცილებულები არიან და აქეთ-იქით დადიან. ერთი და გათხოვილი მყავს. პატარა და იმან წაიყვანა. ორი ძმა აქა მყავს.**

**— ყველა ნორმალური, გონიერი ბავშვია. ზოგი ზედმეტად ნიჭიერი, ზოგი ზედმეტად ლამაზი. ამაყებიც არიან, ეშმაკუნებიც, მაგრამ ამათზე კარგი ბავშვები არსად მეგულება მთელ ქვეყანაზე.**

**ბიჭები აქ არ ჩხუბობენ. ისინი ერთმანეთის სულიერი ძმები არიან. ყველა ლოცულობს, ყველა ოთახში ხატების კუთხეა მოწყობილი, ოღონდ ლიტერატურა გვაკლია.**

— სანიტარული მდგომარეობა როგორია?

**— ტილებით ვიყავით სავსე. საერთაშორისო საზოგადოებამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ახალი ლოგინი და თეთრეული მოგვიტანა, დეზინფექციაც ჩაატარა.**

— კვება?

**— ააშენა ღმერთმა ეს ფრანგები. მოგვიტანეს დიდი რაოდენობით კომბოსტო, ქარხალი, ვაშლი... თორემ ყელში ამოვიდა სულ ფაფა და მაკარონი.**

**თავხედობა იქნება, რომ ვიწუწუნოთ: ეს არა გვაქვს, ის არა გვაქვსო, ბევრს სახლში პურიც ენატრება. რომ იყოს მეტი, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ რაც არის იმითაც კმაყოფილები ვართ. ბევრი გვეხმარება: ედუარდ შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება“, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება „ფრენკი“, საქართველოს ბავშვთა ფონდი. ბევრი სხვა ორგანიზაცია, ბიზნესმენი თუ ცალკეული მოქალაქე.**

**სამოცამდე ბავშვია ძეგვის ბავშვთა სახლში. თითოეული მათგანის თავგადასავალი უკვე წიგნად დაიწერება. ისინი ხომ ცოტა ხნის წინ არაფრით განსხვავდებოდნენ ჯეიმ გრინვუდის „პატარა მაწანწალისაგან“.**

**მახსენდება მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში. ქართული წერა. თემა — „ორი დედა“. სწორედ ორი დედაა დაპირისპირებული ძეგვის ბავშვთა სახლში. ერთი მხრივ ცარო ვარდიშვილი — ოცდახამი წლის გასათხოვარი გოგონა, პრიმიტიულად მოწყობილ სამ პატარა ოთახში რომ დიასახლისობს, ძილის წინ კი ზღაპრებს უყვება სხვა დედების მიერ ამქვეყნად მოვლენილ თორმეტ ბავშვს, მეორე მხრივ თორმეტი ბავშვის გზასაცდენილი, ცოდვაში ჩაძირული დედები. ამ ქალების ნაშიერთათვის ცაროს გულის სითბო დედაშვილობად ქცეულა და მათი პაწაწა, უხუსური შვილებისათვის ეს მადლცხებული გრძნობა არ გაუცხოებულა.**

**გინდა შეულამაზებლად დახატო წერილის გმირის პორტრეტი, თუმცა ყველა სალებავი რომ მოხსნა, მაინც რჩება ჩვენი დროისათვის უჩვეულო გმირი გოგონა, რომელსაც უკვე ორი წელია საკუთარ პირად ბედნიერებად უქცევია სხვათა მიერ მიტოვებული თორმეტი ბავშვის აღზრდა. მერე და რა სიყვარულსა და სულიერებას აქსოვს ამ ღვთიურ საქმეს!**

**ლალი მიგრიაული,**
**ნარგიზა ბენიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი მძიმე პრობლემის წინაშე

# სტერილური თავისუფლება



გავიხსენოთ 1989 წლის 22 ნოემბერი — ბერლინის კედლის დაცემის დღე, როცა მთელ კომუნისტურ სამყაროს და, მათ შორის აღმოსავლეთ გერმანიასაც, დაჰქროლა თავისუფლების სიომ. ზეიმით გამოწვეულმა თრობამ უკვე გაიარა და გერმანელმა ქალებმა ეკონომიკური ლიბერალიზმის, რენტაბელურობისა და კონკურენციის მთელი სიმწარე იგემეს. ისინი დღეს გერმანიაში უმუშევართა 68% შეადგენენ. ამიტომ ყველა ღონეს ხმარობენ, რომ სამუშაო შეინარჩუნონ, სტერილიზაციასაც [ხელოვნური სამუდამო უშვილობა] კი მიმართავენ, რათა მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. ამას გარდა, ეს კიდევ ერთი პლუსია სამსახურის ძებნისას. ბევრ ქალს შიშსა ჰგვრის ერთი სოციალური სისტემიდან მეორეზე გადასვლით გამოწვეული მკვეთრი ცვლილებები და სამსახურის შენარჩუნებას ცდილობს. ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარე კლინიკაში ექიმი კოპი ყოველდღიურად 2-3, ზოგჯერ 4 ქალსაც კი უკეთებს ოპერაციას. მათთვის გერმანიის გაერთიანებაზე დამყარებული ყველა იმედი აქ დასამარდა. ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ქალებს ძვირად დაუჯდათ თავისუფლება. თუმცა, დაწესებულებათა მეპატრონეები პირდაპირ არ გვეტყვიან, რომ სამსახურში მიღებისას სტერილურობის დამადასტურებელ საბუთს ითხოვენ: ეს საბუთი და ჯანმრთელობის ცნობა სამსახურის შოვნის გარანტიას იძლევა ქვეყანაში, რომელიც უმუშევრობამ მოიცვა. დღეს რენტაბელურობის მოთხოვნით უამრავ ხალხს ხელაღებით ითხოვენ სამსახურიდან. ერთმანეთის მიყოლებით იხურება ქარხნები და ფაბრიკები. პირველ რიგში, ქალებს ათავისუფლებენ. ვინც ჯერ კიდევ მუშაობს, სასოწარკვეთილი ებღაუჭება თავის სამუშაო ადგილს.

ფსიქოლოგი პეტრა ერვიკი თვლის, რომ ქალებს არავინ აიძულებს სტერილიზაციას და ეს იდეა თავად მათგან მომდინარეობს. მათ არავინ ატანს ძალას და თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება — ხელოვნურად გამოწვეული უშვილობა თავისუფლებად მიაჩნიათ, ე. ი. არ ესმით მისი არსი. სამიოდე წლის წინ სოციალიზმის დროს, ქალების 80% მუშაობდა და დედობა მძიმე ტვირთად არ აწვებოდა. ბაგებიც უფასო იყო. დღეს კი ყველაფერი შეიცვალა.

როგორც ლაიპციგის შრომითი მოწყობის ბიუროში განაცხადეს, არჩევანი — ქალი უნდათ თუ კაცი, საწარმოს ხელმძღვანელს ეკუთვნის. ის კი, თითქმის ყოველთვის, კაცებს ირჩევს, რადგან ქალს ბავშვები ჰყავს და შეიძლება, ავადაც უფრო ადვილად გახდეს. მაგრამ მეპატრონეები უარს აშკარად როდი აცხადებენ, არამედ სხვა მიზეზებს ასახელებენ. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ქალები შვებას სტერილიზაციაში პოვებენ. 2 შევიწროებული მილი და, ცხოვრება გრძელდება! თითქოს ქირურგის თითებმა სოციალური ავადმყოფობაც განკურნეს.

როგორც პეტერ კოპმა, ექიმმა-გინეკოლოგმა განაცხადა, საბედნიეროდ არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც სტერილიზაციის ჩატარებას აიძულებდა. ყველაფერი ცალკეული ექიმის პირად პასუხისმგებლობაზეა მინდობილი. მისი კლინიკის თანამშრომლები შეთანხმდნენ, რომ უშვილო და 50 წლამდე ასაკის ქალებს, გამონაკლისისა და განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სტერილიზაცია არ ჩაუტარონ.

სტერილიზაციის რაოდენობის უეცარმა ზრდამ ე. წ. „თეთრი ჭირის" გაჩენა გამოიწვია. კლინიკებში ზოგან 50%-ით დაეცა შობადობა, რადგან სტერილიზაციას, უმეტესწილად, 28-დან 40 წლამდე ასაკის ქალები მიმართავენ.

თითქოს ბედის ირონიააო, ერთ დროს ჰიტლერის მიერ აშენებულ ჰოსპიტალში დღეს გერმანელი ქალები ნებაყოფლობით იტარებენ სტერილიზაციას. ადრე კი, განსაკუთრებულ შემთხვევებში და ოფიციალური ბრძანებით, სხვადასხვა სახის სულით ავადმყოფებსა და მამით ებრაელ ქალებს უტარებდნენ ამ ოპერაციას სურვილის საწინააღმდეგოდ, რათა შთამომავლობა აღარ ჰყოლოდათ.

ქალებს სტერილიზაციისაკენ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებს. ისინი სამსახურის დაკარგვის მუდმივ შიშში არიან, ვერ აჩენენ სამ და მეტ შვილს, რადგან მათი რჩენის იმედი არა აქვთ, კონტრაცეფციას სტერილიზაციას ამჯობინებენ, რადგან ჯერ ერთი, ადრინდელთან შედარებით, ადვილია ამ ოპერაციის ჩატარება, მეორეც ის, რომ უფასოა. ამას გარდა, მამაკაცებს აზრადაც არ მოსდით, რომ მსგავსი ოპერაციის გაკეთება თავადაც შეუძლიათ.

პროფესორ აკერზიხენს მიაჩნია, რომ ეს მოდაა და ყველაფერი მოგვარდება, როცა ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური გახდება. ჩანამდე კი ამან მასობრივი ხასიათი მიიღო. საჭიროა ქალებმა იცოდნენ, რაზე მიდიან და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მომავალში ყოველივე ამას. ინფორმაცია ხალხს ცუდად ან სრულებით არ მიეწოდება. ეს პრობლემა თვით ფემინისტებსაც კი არ აღელვებთ. ექიმებიც გამოსავლად სახავენ მას.

ქალების უმეტესობა კარგად ეგუება სტერილიზაციას, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ცუდად იტანს მას. მათ არა აქვთ საშუალება ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადონ და ვინმესგან რჩევა მიიღონ. არც ოჯახური დახმარების ბიუროებია საკმარისი რაოდენობით შექმნილი. მართალია, ეს საქმე ჯერ მხოლოდ იწყება, მაგრამ ვიდრე სოციალური დახმარების სისტემას მოაგვარებენ, მრავალი ქალი გახდება სტერილური, ანუ შვილის გაჩენის უუნარო.

ბერლინის კედელი კი დაინგრა. მაგრამ გერმანელი ქალების წინაშე კვლავ აღიმართა მეორე კედელი.

ფრანგულიდან თარგმნა
**ლია ბუჭანიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ბავშვს დაძინება არ უნდა



ბავშვების უმეტესობა ყველაზე მეტად დასაძინებლად დაწოლას ვერ იტანს. ხანდახან ბავშვი დღის განმავლობაში ისე იღლება, რომ საღამოს თვალები ეხუჭება და სავარძელში ეყვინთება, მაგრამ მაინც უძალიანდება დედას, რომელსაც ის დასაძინებლად მიჰყავს. რა არის ამის მიზეზი?

1. დაწოლა ნიშნავს დაანებო თავი თამაშს ან რაიმე სხვა საინტერესო საქმიანობას.

2. ბავშვები ფიქრობენ, რომ უფროსები, რომლებიც მათზე გვიან წვებიან, მათ მოიშორებენ თუ არა თავიდან, ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებენ.

3. ზოგჯერ ბავშვს სიბნელის ეშინია.

4. ზოგიერთი მათგანი საშიშ სიზმრებს ხედავს და ამიტომ ცდილობს გაიხანგრძლივოს სიფხიზლის პროცესი.

5. ბავშვების უმეტესობას კი უბრალოდ სიამოვნებს იმის ყურება, თუ როგორ ეხვეწებიან მშობლები მას დასაძინებლად წასვლას და რა საჩუქარს არ ჰპირდებიან მას თანხმობის შემთხვევაში.

მშობლების ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, შეცდომაა. არ შეიძლება ბავშვთან მერკანტილური ურთიერთობის დამყარება. და მაინც, როგორ უნდა მივაჩვიოთ ბავშვი იმ აზრს, რომ ძილი აუცილებელია.

პირველ თვეებში მას ეს არც სჭირდება, რადგან ისედაც ძილში ატარებს დღის უმეტეს ნაწილს.

ერთი წლის ბავშვი ძირითადად „დატვირთეთ" დღის მეორე ნახევარში, ისე რომ ძილის წინ საკმაოდ დაღლილი იყოს.

ხელში აიყვანეთ იშვიათად, მხოლოდ მაშინ, როცა ტირის.

1,5—2 წლის ბავშვს სასურველია ცალკე ოთახში ეძინოს. ჩაუდეთ ბავშვს ლოგინში რბილი სათამაშო, დათუნია ან კურდღელი. ბავშვი უფრო იმედიანად გრძნობს თავს, როცა საწოლში ვინმე ეგულება. თუ პატარა მაინც გააღვიძა ცუდმა სიზმარმა და ტირილი დაიწყო, ამოიყვანეთ საწოლიდან, მიეფერეთ და დაამშვიდეთ.

თუ ბავშვს სიბნელის ეშინია, აანთეთ ოთახში მქრქალი შუქის ნათურა, რომელიც ბავშვის დაძინების შემდეგ უნდა ჩააქროთ. კარგი იქნება, თუ პატარას ერთი და იგივე დროს დააძინებთ.

3—4 წლის ბავშვს უკვე შეგიძლიათ სიტყვიერად აუხსნათ ძილის აუცილებლობა, უთხრათ, რომ მის ყველა მეგობარს უკვე დიდი ხანია სძინავს, რომ თქვენ, როცა მისი ხნის იყავით, ზუსტად ამ დროს იძინებდით ხოლმე. ძილის წინ ელაპარაკეთ სასიამოვნო თემებზე, რათა ბავშვს კოშმარი არ დაესიზმროს. აუცილებლად მოუყევით პატარას ძილის წინ ზღაპარი, რომელიც კარგად მთავრდება.

ძილთან დაკავშირებული პრობლემები ძირითადად 5—6 წლამდე გრძელდება. სკოლაში მათ უკვე ცხოვრების განსხვავებული გრაფიკი უყალიბდებათ, რეჟიმში დგებიან და ნელ-ნელა იმასაც იგებენ, რომ ძილი ისევე აუცილებელია, როგორც, მაგალითად, გაკვეთილების სწავლა.

# „უცნობი ქალის პორტრეტი",

# რომლის ნატურა ქართველი ქალი ყოფილა



თითქმის ნახევარი საუკუნეა, ოთახის კედელზე ივანე კრამსკოის ცნობილი ტილოს „უცნობი ქალის" რეპროდუქციას ვუმზერ. სულო ცოდვილო და, რაც უფრო ვაჩვევდი თვალს ფერწერულ სახეს, მით მეტად მეუფლებოდა თითქოს საიდანღაც ნაცნობი ნაკვთების ამოცნობის განცდა. წლები გადიოდა და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთხელ 1986 წელს წავაწყდი შემდეგ ინფორმაციას:

„თურქესტანიშვილების საგვარეულოს გადმოცემით, ბაადურის შვილიშვილი სამეფოს კართან დაახლოებული ქალი ყოფილა და იგი 1883 წელს დაუხატავს ცნობილ მხატვარს ივანე კრამსკოის. ეს დიდებული ტილო ცნობილია „ნეიზვესტნაიას" სახელწოდებით... ეს სენსაციური ცნობა ჟურნალ „მწიგნობარში" გიორგი ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა, რომელიც იქვე, სქოლიოში აღნიშნავდა, რომ ინფორმაცია მას თელაველმა პედაგოგმა თამარ თურქესტანიშვილმა მიაწოდა.

თელავს მივაშურე, მაგრამ სამწუხაროდ, ქალბატონი თამარი გარდაცვლილი დამხვდა. მითხრეს: მათ საგვარეულოში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რომ კრამსკოის ტილოზე დახატული „უცნობი" ნამდვილად მათი საამაყო წინაპარი ბარბარე თურქესტანიშვილია და მისი ხსოვნის პატივსაცემად რომელიღაც ოქრომჭედელს გულსაკიდი მედალიონები მოაჭრევინეს, რომლებზედაც აღბეჭდილია კრამსკოის „უცნობის" მთავარი ფრაგმენტი (თავი). ქალბატონ თამარის მამას კი, ანდერძის თანახმად, ეს მედალიონი საფლავშიც თან ჩაატანეს. მათვე გადმომცეს მედალიონის ერთი ეგზემპლარი და ქალბატონ თამარის ვრცელი ნარკვევი „ჩვენი გვარი და მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის ცხოვრების ნიმუშები (ეპიზოდები)." ამ უაღრესად საინტერესო ნარკვევის მეოთხე გვერდზე აღნიშნულია: „მამაჩემის გადმოცემით, თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი (პროგიმნაზია) დაუარსებია ბარბარე (ვარვარა) თურქესტანოვას და თავადვე ხელმძღვანელობდა მას.

ყოველივე ამან ჩემი ინტერესი ვარვარა თურქესტანოვას პიროვნებისადმი უფრო გაამძაფრა და საარქივო მასალებს ჩავუჯექი.

ბარბარე ილიას ასული თურქესტანიშვილი ქართველთა მეფის ვახტანგ მეექვსის რწმუნებულის ბაადურ

თურქესტანიშვილის შვილიშვილი იყო. ბაადური რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მომგვარებელი კომისიის წევრი ყოფილა. მოგეხსენებათ, როცა საქართველოს სათავეში ირანის შაჰის მომხრე ძალები მოვიდნენ, პეტრე პირველმა თავისი მოკავშირე ვახტანგ მეექვსე და მისი ახლობლები რუსეთს მიიწვია. მათ შორის იყვნენ თურქესტანიშვილების გვარის წარმომადგენლები თვით თავად ბაადურის ჩათვლით.

ბარბარეს მამა, ილია თურქესტანიშვილი, ადრე გარდაცვლილა და მოსკოვის დონის მონასტერშია დაკრძალული. დედა — გვარად იეროპკინა სამეფო კარის წარჩინებულ თავადთა ნათესავი ყოფილა. ბარბარეს მშობლებს ათი შვილი ჰყოლიათ, მაგრამ მოწიფულობის ასაკისათვის მხოლოდ სამ დას მიუღწევია — ბარბარეს, ეკატერინეს და სოფიოს. ბარბარე 1775 წლის 20 მაისს გახლავთ დაბადებული. დედის გარდაცვალების შემდეგ ბარბარე მოსკოვში მცხოვრებ გოლიცინებთან დაბინავებულა და როგორც ასაკით ყველაზე უფროსი, უმცროსი და-ძმანის მეურვეობას შესდგომია. 1812 წელს სრულიად გაღარიბებული ორმოციოდე წლის ულამაზესი ბარბარე იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძეს პეტერბურგში გადაუყვანია, სადაც დაქვრივებული იმპერატრიცას მარია თევდორეს ასულსა და მისი ვაჟის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მეუღლის — ელიზავეტა ალექსის ასულის ფრეილინა გახდა. საგულისხმოა, რომ ბარბარე თურქესტანიშვილი არ გათხოვილა.

პეტერბურგში იგი ზამთრის სასახლის ფრეილინების სადგომში ცხოვრობდა. მისი თანამედროვეების ცნობით, ბარბარე ხელმწიფის კარის მშვენება, ჭკუაგონებითა და განათლებით გამორჩეული ყოფილა. ჟურნალ „რუსსკი არხივის“ 1913 წლის პირველ ნომერში პარიზში რუსეთის დესპანის ბარონ ბუდბერგის მიერ შედგენილი წინასიტყვაობა ეკატერინეს დროინდელი შვეიცარელი დიპლომატის (ბარბარეს დიდი მეგობრის), „ფერდინანდ კრისტინისა და კნიაჟნა თურქესტანოვას მიმოწერის გამო“, შემდეგ ცნობებს გვაწვდის: 1819 წელს კნიაჟნა თურქესტანოვა საშინელი წამებით გარდაიცვალა. იგი წლების მანძილზე ბრწყინავდა სასახლეში. იმპერატორი ალექსანდრე ხშირად აკითხავდა. მისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და მასთან საუბრებით იხიბლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კნიაჟნა ორმოც წელს გადაცილებული იყო, იგი არამარტო კარგად შემონახული გახლდათ, თვისებრივად შეცვლილი მისი სილამაზე მაინც ძალზე მიმზიდველად გამოიყურებოდა“.

ერთი სიტყვით, ბარბარეს სილამაზითა და გამჭრიახი გონებით მოხიბლული იმპერატორი ალექსანდრე პირველი თურმე მანამ არ მოეშვა, სანამ საწადელს არ მიაღწია. თურქესტანოვას ფეხმძიმობა უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. და სწორედ მაშინ, როცა ახალშობილი ქალიშვილის —მიმის ამქვეყნად მოვლინების მაუწყებელი ტირილი მოესმა, შესვა საწამლავი, რომელმაც მაშინვე არ იმოქმედა, კარგა ხანს აწამა და ბოლოს ტანჯვით აღესრულა.

აღნიშნულის თაობაზე ერთობ საგულისხმო ცნობას გვაწვდის ალექსანდრე პუშკინიც: „თავადის ასული თურქესტანოვა, ფრეილინა, საიდუმლო კავშირში იმყოფებოდა განსვენებულ ხელმწიფესა და თავად ვლადიმერ გოლიცინთან. სათანადო ზომების წყალობით სასახლეში ისე იმშობიარა, რომ ეჭვიც არავის გამოუთქვამს. იმპერატრიცა მარია თევდორეს ასული აკითხავდა უგონოდ მყოფ ვარვარას და სახარებიდან ფრაგმენტებს უკითხავდა. იგი შემდეგ სხვა ოთახში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა. დედოფალმა მოგვიანებით სიმართლე მაინც გაიგო და ძალზე გაბრაზდა. ვლადიმერ გოლიცინმა ყველაფერი მოჰფინა ქალაქს“...

ბარონი ბუდბერგი კი ზემოაღნიშნულ წინასიტყვაობაში წერს: „წლების მანძილზე თურქესტანოვას თავს ევლებოდა თავადი ვლადიმერ გ-ნი (გოლიცინი—დ. ბ.). იგი კნიაჟნაზე უმცროსი იყო და მსუბუქი სატრფიალო გატაცების მოყვარულს ქარაფშუტას სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამბობენ, რომ კნიაჟნა თურქესტანოვა თავად გ-ნის ულმერთო ნიძლავის მსხვერპლი გახდა. ამ ხმების თანახმად გ-ნმა კნიაჟნას მოღალატე მოახლისაგან შეიტყო, რომ თურქესტანოვა ქალიშვილზე მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა. ახალშობილი გოგონა კნიაგინია გ-ნას (გოლიცინას — იგი გახლავთ პეტრე ბაგრატიონის მამიდა, თავად გოლიცინის მეუღლე, იგივე „კნიაგინია გრუზინსკაია,“ ანა ალექსანდრეს ასული. წერილებიდან ჩანს, რომ თურქესტანოვას პეტერბურგელ მეგობართა შორის ანა გრუზინსკაია ერთ-ერთი უახლოესია და ბარბარე მას ყველგან „ტიოტუშკას“ სახელით იხსენიებს. — დ. ბ.) უშვილებია, რითაც სულგრძელად სურდა თავისი ქმრის შეცდომების გამოსყიდვა. მოარული ხმების მიხედვით კნიაჟნა თურქესტანოვამ მშობიარობის მერე საწამლავი დალია და საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა. მისი ქალიშვილი გ-ნის გვარს ატარებდა და შემდეგ ცოლად გაჰყვა ნელ-ვს (? — დ. ბ.) საგულისხმოა, რომ მასაც ქალიშვილი შეეძინა“.

ბარბარე 1819 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის მიმდებარე ლაზარევსკის სასაფლაოზე (იქ ახლა მემორიალური სკულპტურის მუზეუმია).

ხელოვნებათმცოდნე ი. ეპატკოს ცნობით, ლენინგრადში ერთ-ერთი კერძო პირის არქივში დაცულია მინაზე შესრულებული მე-18 საუკუნის მიწურულის სილუეტური ხელოვნების უმშვენიერესი ნიმუში-მედალიონი, რომელზეც გამოსახულია ბარბარე თურქესტანოვას ყმაწვილქალობის პორტრეტი (პროფილი). ამავე ცნობაში აღნიშნულია, რომ ბარბარეს შთამომავლის გადმოცემით, „ფრეილინა თურქესტანოვა სამეფო კარისა და პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოების სამკაულად ითვლებოდა. ყოველივე აღნიშნულიდან უყოყმანოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბარბარე თურქესტანიშვილი თავისი დროის გამოჩენილი და ფრიად აღიარებული ქალი ყოფილა. რაც შეეხება ივანე კრამსკოის ცნობილ ტილოს: ვერსიას ამ ქმნილებისათვის მხატვრის მიერ ბარბარე თურქესტანიშვილის ნატურის გამოყენების შესახებ, ერთი შეუსაბამობა ახლავს თან. კერძოდ, ბარბარე თურქესტანიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, გარდაიცვალა 1819 წელს, კრამსკოის ნამუშევარი კი 1883 წლით არის დათარიღებული. სავარაუდოა, რომ მხატვარმა ნატურად ბარბარეს შთამომავალი, ვთქვათ, ქალიშვილი (მიმი) ან უფრო შვილიშვილი გამოიყენა, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, კრამსკოის ეს ტილო ბარბარეს რომელიმე სხვა პორტრეტით შთაგონებულსაც შეექმნა. მით უმეტეს, რომ ფერდინანდ კრისტინთან მიმოწერისას ბარბარე არაერთხელ აღნიშნავს, სასახლის კარის მხატვრები ჩემს პორტრეტებს ხატავენო... შეუძლებელია, მოსკოვ-პეტერბურგის სამუზეუმო საცავებში ან პირად კოლექციებში არ ინახებოდეს სამეფო კარის უმშვენიერესი ფრეილინას რომელიმე პორტრეტი მაინც. სამწუხაროდ, დღეს მის მოსაძებნად არავის სცალია.

**დავით ბუზუკაშვილი**

**რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

# ჩემი დღეების ქრონიკა



მოვიდა იგი, სიკვდილი ყოვლისშემძლე და წარიტანა ტკივილებით დაძენძილი სიცოცხლე ქართველი პოეტი ქალის ნაზი კილასონიასი.

მისი სიკვდილიდან სწორედ ერთი წლის შემდეგ, ჩვენ ყველანი, ახლობელნი თუ შორებელნი, გულშეძრულნი ვამბობდით: ბედნიერია ნაზი, რომ ვერ მოესწრო ამ უბედურებას...

ორი ვაჟი — გიორგი და ოთარი, უბედური შემთხვევისა გამო მიეახლნენ იმქვეყნად დედასა და მამას და დარჩა ნაზი კილასონიასა და გოგი მაისურაძის ოჯახში ერთადერთი ნაბოლარა კაზა.

დედა რომ გარდაეცვალა, შუათანა — ოთარი ხშირად სტუმრობდა რედაქციას, ნაზის სამუშაო ოთახში, გულდაგულ აკოწიწებდა დედის ხელნაწერებს, გაბნეულებს ავტორთა ხელნაწერებში, ყოველი მათგანის ხილვა ბიჭს საოცრად აღელვებდა.

ეს დღიური არ უნახავს ოთარს, არც გიორგის, სულ ახლახანს შემთხვევით რომ ჩაგვივარდა ხელთ. „ჩემი დღეების ქრონიკა" დაურქმევია პოეტს მისთვის.

რა დიდი სითბო ტრიალებს ყოველ სტრიქონში და რა მწარედ ისუსხება ყოველი მათგანი, რამდენი სიხარული ილვენთება და რამდენი ტკივილი იწურება... და მაინც შიში ფარავს ყოველივეს, შიში ყოფისა, პოეტი ქალის ესოდენ გაგულგრილებული ყოფისა...

## ფინათქმასავით

81/1-77 წ.

უკვე ორმოცდაათი წლისა ვარ. ამის შესახებ არ განმიცხადებია არსად (ქალი ვარ მაინც!), სხვები, თუ იკლებენ (თვით კაცები), მე რა გამონაკლისი ვარ, არა?

მაგრამ ამ ასაკსაც აქვს თავისი „სიკეთე" თურმე — რამდენიმე პოეტმა ანგარიშგებასავით გამოსცა (ე. ი. გამოუცეს) თავისი რჩეულები. არც ეს მინდა. მეუფლება ყველაზე საზიზღარი რამ: გულგრილობა, ინერტულობა... ერთი წელია სტამბაში 2 თუ 3 ფორმიანი წიგნი ძევს ჩემი (ესეც არ მახსოვს), სტრიქონი არ აწყობილა. ჩემი ბრალია ესეც.

შენ, მომავალო, წუწუნა არ გეგონო! ეს ისე ვთქვი, მხოლოდ.

81/1-77 წ.

31 იანვარი. გუშინ გარდაიცვალა სპარტაკ ბაღაშვილი. რაინდი ქართული სილამაზისა, აზოვანებისა. მე მას არ ვიცნობდი პირადად. უცნაურობანი კი მსმენია, მაგრამ იგი დიდი შემოქმედი იყო. დიდებული ლუარსაბი, არსენა... მის შემხედვარს აღმოგხდებოდა აუცილებლად... „რა ლამაზნი ვართ, ქართველები..." აფსუს, ბოლომდე ვერ ამოვწურეთ მისი არტისტული შესაძლებლობანი. მერე და, რა ხმა ჰქონდა!

დღეს, საღამოს ფილარმონიის დიდ დარბაზში ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედებითი საღამოა. ბილეთები არ იშოვება თურმე. მწერალთა კავშირში ჩემთვის დაუტოვებია. ამ პატარა პასაჟმა გული გამიკეთა — გამომანათა: თურმე ჩემი არდავიწყებაც შეიძლება ამ გაზულუქებაში... მახსოვს, ჯანსული რომ უნივერსიტეტში აპირებდა ჩაბარებას, სოფლიდან მომწერა: „თუ არ მიმიღო კეცხოველმა, ქვეყნად აღარ მეცხოვრებაო."

სოფელი სურმუში. ცაგერი. ასეთი იყო მისი მისამართი. ...მომავალო! შენ ელი ჩემგან პირუთვნელობას? ჩემს ნამდვილ შეხედულებას? ეხ... მაგრამ, ვეცდები ფაქტები მაინც აღვნუსხო პირუთვნელად. მაშ, ჯანსულის საღამოზე მივდივარ...

მას (ჯ. ჩ.) ბევრი მეგობარი, ამხანაგი, გულშემატკივარი და ალბათ გულაუმტკივარიც ჰყავს. ალბათ კი არა, ასეა. დღეს არ მეგულება (მუხრანის გამოკლებით) მასზე პოპულარული კაცი. მაგრამ მუხრანის პოპულარობა სოლიდურია. ყოველ შემთხვევაში, ის არ ზრუნავს ამაზე!

დღეს რედაქციაში („საქართველოს ქალი") პაპუნა წერეთელი მოვიდა. ძლივს დადის. კიდევ ერთხელ ვაამბობინე მაკო საფაროვას მონაყოლი. აი, ისიც:

მაკოს უამბნია პაპუნასათვის:

ვასო აბაშიძე ნერვიული და ფიცხი იყოო. ახლად ჯვარდაწერილნი მსახიობთა დასთან ერთად ვმოგზაურობდითო. ერთხელ ისე მოუვიდა ვასოს გული, რომ ტანსაცმელი სულ შემოუგლეჯია. დარბაისელი ქალი — ანდრონიკაშვილი შევიდა თურმე ოთახში და ვასოს უთხრა: შვილო, როგორ გეკადრება ასე გაბრაზება. გიჟი არ ხარ, თორემ მაგ საცვლებსაც ხომ შემოიფხრეწდიო. „აი, თუ არაო" — და ვასოს ის საცვლებიც შემოუგლეჯია. „უი, უი, რა ქნა ამ შერჩენებულმა, ამ ქვრივ ქალს არ დამანახვა ყველაფერიო?!" — ყვირილით გამოვარდნილა ანდრონიკაშვილის ქალი... კუშკუშით მიამბო პაპუნამ.

დღეს, ახლახან, ირაკლი კინწურაშვილი მოვიდა ჩვენს მხატვართან (ლეონარდო შენგელიასთან), აი, ის, ფანტასტურ მოთხრობებს რომ წერს, და თავისი ჰიპოთეზებიც რომ აქვს. აქამდე არ ვიცნობდი: მაღალი, გამხდარი, წაბლისფერთმიანი, ლიაფერის თვალებით, ნაშიმშილარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. დავრჩებოდი, მაგრამ მშიაო, არც სიგარეტი მაქვსო, — პირდაპირ თქვა. ორი კატლეტი მქონდა, შევუტანე. საუბრობდა ათას რამეზე. ნორმალურის შთაბეჭდილებას არ ტოვებს — ათასი ჩანაფიქრით, თუ მოსაზრებით აქვს თავი გატენილი. აბა, ნორმაში როგორ იქნება! ჩანს, ოჯახი დიდი აქვს. უჭირს... ჩანს...

მუხრანმა ერთხელ მითხრა: „კუბოს ვერ გავიტალახიანებო"... მითხრა იმიტომ, რომ ვიღაც უნიჭოსათვის რეკომენდაცია ვთხოვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა კავშირში მისალებად, არ უნდა მეთხოვა! მაშ, 8 საათზე, ფილარმონიაში. მანამდე აქ ვიცდი.

დედაჩემმა მითხრა, კოხტა კაცის ამბავი ხომ იციო. გამიკვირდა. თურმე პაპაჩემმა იცოდა თქმა: „კოხტა კაცს სახლში სცემდნენ, — კარში არ ამბობდაო. კარში სცემდნენ და — სახლში არ ამბობდაო“. ცოდვით კინაღამ ვიტირე. ხალხის ნათქვამია ასე მტკივნეულად.

კოხტა კაცი ვარ მე!..

როცა ვილლები, ანდა უგუნებოდ ვარ, ფეხებს ძლივს მივათრევ, მიმძიმდება. ვბერდები, ისე, რომ ჩემი ძალა, ენერგია, ნიჭიერება, უნარი ერთ გარკვეულ საქმეს, ერთ პატარა, მაგრამ მხოლოდ ჩემეულს ვერ მოვახმარე. კარიერაზე ოცნება ტრაგედიად ნუ აქციეო, — მითხრა მან, ვისაც ეს არ უნდა ეთქვა. კარიერა უნიჭოთა პრეტენზიაა. მიეცით ნიჭსა გზა ფართოო, — ორბელიანი ამას რომ ამბობდა, სიტყვა „კარიერა“ თუ იცოდა?

მგონი უნიჭოც ვხდები.

„მე მიმატოვეს ძველმა რითმებმა,
ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს!..“ (გალაკტიონი)

ჭიას რომ დაადგა ფეხი, ისიც თავს აწევსო.

ვწევ თავს და მეცინება...

ბელა ახმადულინას სტრიქონები მახსენდება: «Не от гордости, — от горести, Я голову высоко держу!»

ბელა ახმადულინა — ამ ქალში სატანაა ჩასახლებული: სხვანაირად ლექსის ასე მოზღვავება შეუძლებელია.

მე მახსოვს იგი: ფუნჩულა, წიწილასავით ყვითელი, ხუჭუჭა, მძიმე ნაწნავებით. ახლა გამხდარი. თითქმის დამდნარი. აქ ძალიან უყვართ. ანუ პოპულარულია. ცნობით, არ მცნობს. ე. ი. ვითომ არ მცნობს. არც მე ვიკლავ თავს. ქართველს ლექსი არ გაუკვირდება.

„ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა!“ (გ. ლეონიძე).

მაგრამ, იქნებ, ჩემთანაც „от горести высоко держит голову?“ თუმცა, რა აქვს სადარდებელი. როგორც სურს, ისე ცხოვრობს...

მე აქ „შინაური მღვდელი“ ვარ... უკეთ, სახელი მაქვს — ოდენ.
2/II-77 წ.

ერთი დღე გამოვტოვე...

ჯანსული ღელავდა ძალიან. ავედი სცენაზე დაწყებამდე. დავამშვიდე (ვინ მეკითხება, მაგრამ შემეცოდა. ამ დროს დამშვიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს...).

დარბაზი სავსე იყო. კარგადაც იყო ორგანიზებული დასწრება. უყვარს, უყვარს ქართველს პოეზია.

დაიწყო ცოტა დაწეულად. ღელავდა. მაგრამ თანდათან ასწია სალამო. შიგადაშიგ სიმღერა. მის ლექსებზე შექმნილი. მედეა ძიძიგური, ნანული აბესაძე, ნუნუ დულაშვილი, ნუნუ გაბუნია, ჯულიეტა ვაშაყმაძე, უგემოვნო ცისფერი კაბით. (ალბათ თვითონ შეკერა). ჯანსული ტრიბუნიდან კითხულობდა. ფარდის წინ, ვახტანგ ჭელიძემ მიმოიხილა მცირედ ჯანსულის შემოქმედება. ზოგნი შოკირებულნი იყვნენ — ვახტანგ ჭელიძე ფარდის წინ, კონფერანსიესავით...

ღელავდა. ყვირილით კითხულობდა ლექსებს. შიგადაშიგ ოხუნჯობდა, რაიც აუდიტორიას აცოცხლებდა.

მსმენელები — რჩეულთა შორის რჩეულნი. მწერალთა ნახევარი. მთავრობის წარმომადგენელნი. ხელმძღვანელი ამხანაგები...

შევამჩნიე, ერთი-ორი, — ვიზეც დიდი ამაგი აქვს პოეტს. თითს თითზე არ აკარებდნენ ტაშისთვის. რა არის ეს? — შური?

თქვენ ჩემს აზრს მკითხავთ? — საინტერესოა, რა თქმა უნდა, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ან ერთი ან მეორე შემოვრჩებით ჩვენს პოეზიას... რაღაც, არ მჯერა.

მე მაინც მიხაროდა, როცა ბოლოს დარბაზი ფეხზე წამოუდგა პოეტს. ეს იმას ნიშნავს, — პოეზია გვიყვარს. გაუმარჯოს პოეზიას, ნუგეშს, იმედს, ნატვრას, ოცნებას, თუნდაც აუხდენელს...

დღეს კვლავ უხასიათობაა. ვწევ სიგარეტს, რომელიც მკლავს.
4 თებერვალი—77 წ.

დილიდან კარგ ხასიათზე ავდექი. ერთი-ორი საათი, — თითქოს ნათლის სვეტი მქონდა გულში ჩაშუქებული. შემდეგ, პაწაწა, უმნიშვნელო მიზეზის გამო ეს შუქი ჩაქრა...

8 დღეა კინწურაშვილი გვიკითხავს თავის წიგნს. არა, არც ისე უჭირს, როგორც მეგონა. მშვენივრად გამოწყობილი მოვიდა. — გუშინ მუხრანთან „დილაში“ შევედი. ჯურხა ნადირაძე იყო მასთან და ვუთხარ — ხომ უკვდავგყო მუხრანმა თავისი ლექსით მეთქი.

10-ში რუსთაველის პრემიის ჟიურის (ასე ჰქვია?) სხდომაა. რევაზ ინანიშვილი მიიღებს, ამას თქმა არ უნდა. მაგრამ, სამი მწერალია წარდგენილი კიდევ: ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსული და კარლო კალაძე. ქვეყანა იცინის, კალაძის პრეტენზიებზე. „ქათმებიც სიცილით კვდებიანო“ — რომ იტყვიან. ბელამ (შალვაშვილი) თქვა, — ხედავ, რა სიბრძნე თქვა ამ შემთხვევისთვის თავად რუსთაველმაო: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო“. ნათელამ (ტაბატაძე), ჭკვიანმა ნათელამ, ხარხარით დაუმატა, — ეს სტრიქონი ამ პრემიის მედლის მეორე მხარეზე უნდა ამოიტვიფროსო. ეს ისეთი დიდებული ნათქვამია, ვერ მოვითმინე და სადღაც ვთქვი, ოღონდ გავაფრთხილე, ჩემად არ თქვათ-მეთქი. ისედაც „მტრები“ გამიჩნდნენ თურმე — მწარე ენა აქვსო. ღმერთი, რჯული, იუმორისთვის თუ ვიტყვი რაიმეს. მგონი, ჩემმა რამდენიმე ეპიგრამამ დამიგდო ეს სახელი — „ფუნაგორიებს“ რომ ეძახიან. საოცრებაა, მოსწრებული სიტყვისადმი დაჩლუნგება!

მომავალო, მე გადავწყვიტე შენთვის რამდენიმე მწერლის პორტრეტი, მონახაზი გაგიკეთო, შემოგინახო. ვეცდები ობიექტური ვიყო. (რამდენადაც ეს შესაძლებელია სუბიექტისათვის!).

მე აქ დავიღალე, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება მაქვს, დიდებული, პატარა, ცალკე სამუშაო ოთახი. მაინც დავიღალე. არა, — მომბეზრდა. ერთიდაიგივე, ერთიდაიგივე, ერთიდაიგივე, ერთიდაიგივე, ერთიდაიგივე, უკიდეგანოდ, დაუსრულებლად...

გადავწყვიტე, აქვე გავაკეთო ჩანაწერები, „მამფორიზმების“, „ფუნაგორების“ და მრავალი გამონათქვამის. ოღონდ, სხვების, და არა ჩემი. რა მოხდა, ესეც შემოგინახოთ.

7 თებერვალი

ნ. ც. წარმოსადეგობა შესანიშნავი. ფერი — ბრწყინვალე. პირდაპირ ბავშვობიდანვე მენატრებოდა ასეთი კანი სახისა: თეთრი, თითქმის სიფითრე. ნაკვთები სახისა პროპორციული, შუბლი, ცხვირი — ნახატი. („სოთი ცხვირი“-ო ასე ამბობდნენ ქართლში...) ჭკუა? — უბრწყინავს ტვინი. ერკვევა მედიცინაში, ეკონომიკაში, მათემატიკაშიც. (მიკვირს) უყვარს პოეზია. (უყვარს კი არა აღმერთებს). თარგმნის დიდებულად (ფლობს დიდებულად ქართულს).

ჰო.
ჰო.
ჰო.
ასეა! — არ შემიძლია თვალი მოვუხუჭო.

მაგრამ ცოტა, სულ ცოტა სითბოა კიდევ გულისმიერი, საჭირო.

1 ივნისი. (1/VI. 77 წ.)

თავი მტკივა. მტკივა. მტკივა.

მკლავს ულონო ბრაზი.

მინდა ვიყვირო, ვიღრიალო. გავაკეთო განაცხადი: მე ვარსებობ!... მე ვლპები აქ, ამ ადგილზე. ამ ჭაში, რომელსაც რედაქცია ჰქვია. ქალთა ჟურნალი ჰქვია. მე მინდა ფრთები.

ჯანაბას.

მე ვიგონებ ჩემს თავს. ყანებს, სადაც შვიდი-რვა წლის ბავშვმა ალვიქვი ფერი სოსანი, ფერი ლილილო. როგორ მივრბოდი სველ ყანაში.

ქოხში დავიბადე. მინდორი ზედ საძირ...

2/VI

ჰო, ზედ საძირკველთან მოდიოდა. ფეხაუდგმელი მახსოვს ჩემი თავი. ფორთხვით მივედი დედასთან და ჯამი გავუწოდე, ლობიო კიდევ დამისხი მეთქი.

— გიორგი, — უთხრა დედამ მამას, უთხრა გახარებით, — კიდევ მთხოვს საჭმელსო...

ისიც მახსოვს, მამას აკვნით რომ მივყავდი თოვაში. აკვანი ზურგზე ეკიდა. თოვდა და წამნამქრა ცოტა. მეზობლის ქალმა ცოცხით გადაგვაცალა მე და აკვანს თოვლი. დედა თურმე ავად იყო და გორში იწვა. იქ იწვა ბებიაც (მამიდან). (მე „ბაბოს“ ვეძახდი ხოლმე ქართლურად), დედაჩემის მონახულებისას ეტირა და მერე გზაზე თხრილში ჩავარდნილიყო, სიბნელეში. ასე რომ ისიც იმავე საავადმყოფოში დააბრუნეს, გორში.

დავრჩით თურმე მე და მამა. მე ერთი თუ ორი თვის.

14/VI

ღმერთმა გაანათლოს — სულიკო კილასონიას ცოლმა — თალიკომ შემიკედლა. თურმე: ჩემი ხნის ბავშვი ჰყავდა და მეც მაწოვებდა ძუძუს. ვინ იცის, ალბათ ნახევრად მშიერი ვიყავ. მოვიდა მამა, დამხედა აკვანში, ბუზები მეხვეოდნენ, აიღო აკვანი და თოვაში წამიყვანა... ამასობაში ტასო ბაბოც მოვიდა გორიდან, მიხარშავდნენ სიმინდის ფუას (ფაფას ასე ეძახდნენ ჩვენში) და მაჭმევდნენ. საავადმყოფოდან წამოსულ დედას 6 თვის დავხვდი. — გადაგხადე აკვანში პირი და შავტუხა მსუქანმა გოგომ შემომაჭყიტე თვალებიო. წყნარი ბავშვი ვიყავ და დედამ — გუგულივით წყნარიაო, გუგული დამარქვა. ახლაც სოფლად ახლობლები გუგულას მეძახიან.

მომნათლეს მოხისის ეკლესიაში. საეკლესიო წიგნში სახელად მანია ჩამიწერეს.

ყველაფერ ამას რედაქციაში ვწერ.

მინდა დავუბრუნდე იმას, რაც მოუბრუნებლად დავკარგე, ჩემიანებს დავუბრუნდე. მინდა თავი მოვიტყუო და კვლავ მათ შორის ვიყო — ბაბოსთან, მ ა მ ა ს თ ა ნ! თვალის კილოებში ცრემლი მიდგას.

მივდივარ გზაზე და ეს ცრემლი კვლავ მიდგას. ვარ ადამიანებში, და ეს ჩუმი, დაუნახავი ცრემლი...

მამა!

მე მიმძიმს უშენოდ.

მამა!

მე შენ მიყვარხარ!

მამა!

მაპატიე, რომ ბევრი მძიმე წუთი დაგიყენე, ჩემი ახალგაზრდა სისულელეებით!

მამა!

საიდან იყავი შენ ასეთი კარგი, ასეთი მაღალი, ასეთი კეთილშობილი, ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობით?

საიდან?

ჩემო მუშა კაცო, ჩემო გლეხიკაცო, დიდებულო!

მამა, თავს განზე ვიღებ, რომ ფურცელს ცრემლი არ დაეცეს!

ახლა გავალ და კიბის თავზე სიგარეტს მოვუკიდებ... მამა! ერთადერთო საყრდენო. ადამიანო, ვის მხარზეც შემეძლო დავნდობილიყავ. ერთადერთო. მე მინდა მოვყვე იმ სისხლზე, შენში რომ ტრიალებდა, კილასონიების სისხლზე, მე რომ ჩამიდგი ძარღვებში. ესე იგი, მე მინდა დავწერო — ვინა ვარ მე.

პაპა (მამიდან)

პავლე გიორგის ძე კილასონია, (დაბადების წელი არ ვიცი. გარდაცვალებისა — ასე 1925).

მანამდე ჩვენს გვარზე: ქარელის რაიონის სოფელ აბისში, ქართლში, რაჭიდან გადმოსულან. ამბროლაურის რაიონის სოფელ კვაცხუთიდან ჩვენი ძველები თურმე სოფელ წესში დადიოდნენ სალოცავად თავის სალოცავში. მაგრამ, რანაირად მოხვდნენ ეს მეგრელები რაჭაში? გადმოსულან რომელი სოფლიდან, არ ვიცი. შემდეგ ერთ-ერთი ძმა, პატარა ბავშვი ბატონს უყიდია, თუ გაუცვლია (ახლა ვიცი: აბაშის რაიონი. სოფელი ნორიო) შიმშილობისას მგონი ქერში თუ ფეტვში. აბისში ეს კილასონია დაოჯახებულა, ძმაც გადმოუყვანია.

აბისში 8 ძმის ნაშიერია. მაშინ იქ თავადები, ანუ ბატონები ამირაჯიბები იყვნენ.

პაპაჩემი — პავლე ისე დაიბადა, რომ მამა აღარ ჰყავდა. ქვრივს გაჩენია. მამამისი მიწის თაობაზე ძმას ედავებოდა თურმე. უფროს ძმას. გააქანა თურმე ძმამ და წიხლი ჩასცხო მუცელში. იავადმყოფა გიორგიმ და... დარჩა პირველ შვილზე, პაპაჩემზე ფეხმძიმე ცოლი. იმერეთში გათხოვდა თურმე ის გაჭირვებული. ქორიძეებში (სოფელი ვერ დავადგინე, მერჯევთან ახლოს. ალბათ — ქორეთი). (პაპაჩემის დედის ვინაობა არ ვიცი) იქ გაუჩნდა სხვა შვილები. შემდეგ იქაც დაქვრივდა თურმე და თბილისში, დეკანოზიშვილზე გათხოვდა. (ის დეკანოზიშვილი ორთაჭალაში ნწვანილის მოვაჭრე იყო თურმე).

პავლე ქორიძეებში თხუთმეტ წლამდე იზრდებოდა. მერე დედამ უთხრა, წადი შვილო ქართლში, ბიძაშენთან, აქ ქორიძეები წილს არაფერში დაგიდებენო. მოვიდა ასე აბისში. სახლი არ ჰქონდა, კარი არ ჰქონდა. იყვნენ მდიდარი კილასონიები („დიდი კილასონიებიო“ ასე ეძახოდნენ ჩემს ბავშვობაშიც!) და იყვნენ ლატაკი კილასონიებიც, მე მათი ბუდიდან ვარ. (ახლაც ლატაკი ვარ!) ამბობდნენ, მდიდარი კილასონიების წინაპარმა მიწაში იპოვა დაფლული ზინეთიო. (ზინეთი ე. ი. განძი), ჰოდა, ჩემი ლატაკი პაპა ამირაჯიბის კარზე დადგა ხაბაზად. სმა უყვარდა. შუაკაცი (ხნიერი) იყო, ცოლად 15 წლის ბავშვი რომ მოიყვანა. უსახლკარო პავლემ ცოლიც ბატონის კარზე მიიყვანა. ხანდახან კილასონიებს აფარებდნენ თავს. მერე სოფლის მენახირედ დადგა. რასაც აიღებდა, ნახევარი უკვე წინასწარ ჰქონდა დახარჯული არაყში. ბებია ამბობდა, მცემდაო. გაჭირვებით გადაიფარეს ჭერი. პავლე ჩემს გაჩენამდე გარდაიცვალა.

8 ვაჟი დარჩა, ერთი ქალიშვილი:

გიორგი (მამაჩემი).

შალვა.

პეტრე (15 წლის გარდაცვლილა. მწყემსობაში მზემ დაჰკრა).

მარო. (ათიოდე წლის გარდაიცვალა).

პაპის ნამდვილი სახელი „იოკიმე“ იყო თურმე. ამიტომ სოფელში „ოკეს“ ეძახდნენ — „ოკეს ბიჭები“, ასე ახსენებდნენ მამაჩემს და ბიძას.

ბებიაჩემი

ტასო ყარამანის ასული ფეხშველაშვილი, დაიბადა სამხრეთ ოსეთში, ზნაურის რაიონის სოფელ ახალშენში. (გარდაიცვალა 1965 წელს — 80 წლამდე).

მისი ნამდვილი გვარი მაისურაძეა, ალბათ რაჭიდან გადავიდნენ ისინიც. მაგრამ, მათ შტოს ფეხშველაშვილი შეერქვა — ვილაც ჩვენიანი ფეხშიშველი გამოიქცა ჯარიდანაო, მეტყოდა ხოლმე ბაბო. (ბაბო — ჩვენებურად ბებიაა).

24 ივნისი

ღმერთო, საიდანაა ეს სევდა. საიდანაა, რატომაა ეს შენახული ცრემლი. დავდივარ, ვმოქმედებ, ვმუშაობ, — თითქოს იქიდან — ჩემს იქიდან. ამ ბოლო დროს საკვირველება დამეუფლა: დიდი, მთავარი და ნამდვილი გზისათვის, ცხოვრებისათვის ვემზადები თითქოს. თითქოს აქაური, მიწიერი, მოსამზადებელი რამ არის მხოლოდ. მე ვხედავ სიზმრებში სახლებს, კიბეებს, ცისაბოზე ასულ ბილიკებს, სახლებს ფერდობებზე, მეორე სართულის ღია აივნით, რიკულებიანს, — ეს ყველაფერი არსად, არასოდეს მინახავს აქ, მიწაზე. და მაინც გულის გახეთქვამდე სევდიანად მშობლიურია... იქნებ იქ არის ნამდვილი. აქ კი სიზმარია.

24/VI

ტასო ბაბოს ნაამბობიდან და საერთოდ მისი ცხოვრებიდან

ბევრი და-ძმანი იყვნენ. გაჭირვებულნი, ღარიბნი. ახალშენი მთიანი სოფელია. ტბაც იყო პატარა (მეც მახსოვს). პაწაწა გოგო იყო, წურბელებს აგროვებდა თურმე. „ჩავდგებოდი ტბაში და წურბელებს ვეძახდი ასე: „ნოე, ნოე-ო“. წურბელები ფეხზე მეკიდებოდნენ, გამოვიდოდი ნაპირზე, მოვიგლეჯდი და ბოთლში ვყრიდიო“. — მიამბობდა ხოლმე ბაბო. ყიდდა ამ წურბელებს, ჩუსტი მაინც რომ ჩაეცვა ფეხზე. მისი და-ძმა, რამდენადაც გამიგონია და მახსოვს:

ნიკა, ზურაბი, სვიმანა, სოფუკა, პელა და კიდევ ორი მგონი.

ბაბოს მამა — ყარამანი. დედა — მელანო. ამბობენ: ყარამანი, მართლა ყარამანივით მაღალი, დიდი (ვის დავემგვანე ასე დაგვალული?) თუთუნს ღეჭავდა გამუდმებით. კბილები თეთრი, კრიალა. ერთიც არ აკლდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთგულება მემკვიდრეობად მერგო...



კადრი ფილმიდან „წარსულის აჩრდილები“.

ყოველ ახალ ქართულ ფილმს სიხარული მოაქვს მაყურებლისთვის. მითუფრო დღეს, როცა დანატრებულები ვართ ცნობილ თუ ახალბედა მსახიობებთან და რეჟისორებთან შეხვედრას.

და აი, ვიხილეთ რეჟისორ ლევან თუთბერიძის ისტორიულ-სათავგადასავლო ფილმი „წარსულის აჩრდილები“: ორიოდე სიტყვა თავად რეჟისორზე. ლევან თუთბერიძეს გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: „თუშური ყველი“ (კიევის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე პირველი პრიზი დაიმსახურა), „უბისი“ (თბილისის საერთაშორისო ფილმების ფესტივალის I პრიზი და რელიგიური ფილმების ფესტივალის I პრიზი), მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მახარე“ (ბულგარეთის სატელევიზიო ფილმების ფესტივალის II პრიზი), მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ (ფილმი გაიგზავნა ესპანეთისა და საფრანგეთის საერთაშორისო ფესტივალებზე, მოსკოვის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე კი კრიტიკოსების პრიზი მოიპოვა).

ახლა თავად ფილმის შესახებ, რომელმაც მაყურებლის სიმპათიები და კინოკრიტიკოსების დადებითი შეფასება დაიმსახურა. გვესაუბრება კინო-რეჟისორი ლევან თუთბერიძე.

**— დღეს ყველაფერი სიძნელეებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით „შავ დღეში“ კი, ალბათ, ხელოვნების მესვეურები აღმოჩნდნენ. რეჟისორები ფილმის გადაღებაზე მხოლოდდა ოცნებობენ, რადგან „შიშველი ხელებით“, უფულოდ ფილმის გადაღება წარმოუდგენელია.**

— ხელოვანს ნიჭთან ერთად უდიდესი ნებისყოფაც უნდა ჰქონდეს. თუ იცი, რა გინდა და თან ამის გაკეთების დიდი სურვილი გაქვს, დაბრკოლებებსაც დაძლევ. წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ვცხოვრობთ, მაგრამ რას იზამ? ფარ-ხმალის დაყრა სიკვდილის ტოლფასია. სხვისი იმედით შენსას ვერაფერს შექმნი, უფრო მეტიც, საერთოდ ვერაფერს გააკეთებ.

„წარსულის აჩრდილები“ ფაქტობრივად არაფრისაგან შეიქმნა. სცენარის ფონი ისტორიულია, მოთხრობილი ამბავი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით მოვიგონე სცენარისტ კოტე ჯანდიერთან ერთად. აქვე მინდა აღვნიშნო ბატონ კოტეს უდიდესი დამსახურება. სცენარს სწორედ მან მისცა საბოლოო სახე, ყოველი მარილიანი სიტყვა, თუ მოსწრებული ფრაზა მას ეკუთვნის.



კადრი ფილმიდან „წარსულის აჩრდილები“.

**— „ოქრომკედით“ ნაქარგი კოსტუმები, მდიდრული დეკორაციები, არაჩვეულებრივი, შთამბეჭდავი მუსიკა იმის შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ფილმი ეკონომიურად ძლიერ ქვეყანაში არის გადაღებული. მართლაც ლამაზი და მდიდრული ფილმია...**

— ფილმი გადავიღე დამოუკიდებელ კინოსტუდია „აისში“, რომლის პრეზიდენტიც თვად გახლავართ. „წარსულის აჩრდილები“ სტუდიის პირველი ფილმია და ბუნებრივია, თავდაპირველად არანაირი სახსრები არ გაგვაჩნდა. სესხი ავიღეთ. დიდად დაგვეხმარა „თბილკომბანკიც“. მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ეს ფილმი სიყვარულმა და მეგობრობამ შექმნა. დეკორაციები ახსენეთ და ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ეს ლამაზი, მდიდრული დეკორაციები ძველი კინოსტუდიის პავილიონში იაფფასიანი მასალისაგან შექმნა დეკორატორმა ედუარდ ლაპკოვსკიმ, თანაც სიმბოლური ანაზღაურების ფასად.

**— პრემიერაზე თქვით, რომ ფილმის გადაღება ოთხ წელიწადს გრძელდებოდა...**

— ოთხი წელი მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა, ორწელიწადნახევარი გადაღებებს მოვანდომეთ. ამ ხნის განმავლობაში იმდენ წინააღმდეგობას წავაწყდით, უმჯობესია, არ ვილაპარაკოთ.

**— ფილმი საქართველოს მძიმე დღეებს ასახავს. უმეფოდ დარჩენილი ქვეყანა, სხვის ომში სისხლის-**



საუბარი კინორეჟისორ ლევან თუთბერიძესთან

**ღვრა, შური, გაუტანლობა... უცნაურია, რომ ფილმის თემა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ტრაგედიებს დაემთხვა. 90-95 წლები... შინაომები, უაზრო სისხლისღვრა, „უმეფობის" პერიოდის „სიკეთეც" ვიწვნიეთ. ამიტომ ალბათ, ისტორია მეორდებაო.**

— ერთგვარი დამთხვევა მართლაც არის. ფილმში ნათქვამია: „ჩვენ ერთმანეთს კი არ ვებრძვით, არამედ წარსულს ვებრძვით. წარსულთან მეომარი კაცი კი ყოველთვის წაგებულიაო". დღესაც ხშირად ერთმანეთის წარსულს ვებრძვით. ყოველ წუთს ვუხსენებთ ერთმანეთს ძველ ცოდვებს. ბრალდებებს ცილისწამებაც ემატება, რაც ბუნებრივია, უპასუხოდ არ რჩება და, ასე დაუსრულებლად. მოდით, ნუ დავიწყებთ იმის განსჯას, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. თავის დროზე ყველანი ღვთის სამსჯავროზე წარვსდგებით და ყველაფერი იქ მოგვეკითხება. გულში ჩავიწეროთ სახარების წმინდა სიტყვები. მივუტევოთ ერთმანეთს ძველი ცოდვები. შევაშველოთ ერთმანეთს ხელი და ცხოვრებაც გაცილებით გაგვიადვილდება.

**— ფილმის ერთ-ერთი გმირი ამბობს: ქვეყანაში, სადაც თავადები ყაჩაღობენ, ავაზაკებს ნაკლებად მოეკითხებათო. ნემსის და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო, ამბობენ, მაგრამ ჩვენში ზოგჯერ ნემსის მომპარავნი უფრო მკაცრად ისჯებიან, ვიდრე აქლემის ქურდი „თავადები".**

— ხელოვანი უნდა ცდილობდეს, რომ თავისი შემოქმედება ყველა დროს შეესაბამებოდეს. მისი სათქმელი ყველა დროში და ყველა ქვეყანაში უნდა გაიგონ. სწორედ ეს არის ხელოვნების ძალა. და თუ ფილმში ისეთი რამ დაინახეთ, რაც XVII საუკუნის და დღევანდელი საქართველოსათვის თითქმის საერთოა, ვფიქრობ, ჩემი ჩანაფიქრი და მიზანი ნაწილობრივ მაინც განვახორციელე.

**— ფილმში შესანიშნავი მსახიობები მონაწილეობენ: ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ ფირცხალავა, გივი ბერიკაშვილი, გივი ჩუგუაშვილი. ძნელი ხომ არ არის პოპულარულ მსახიობებთან მუშაობა?**

— მათი პოპულარობა ხელს სულაც არ მიშლიდა. პირიქით, მათი გამოცდილება ბევრ რამეში დამეხმარა. ადვილად ვპოულობდით საერთოს, შეცდომებსაც ერთად ვარჩევდით და ვასწორებდით. უბრალოება, საქმის ერთგულება პროფესიონალიზმის დამახასიათებელი ნიშნებია.

ისინი კი ჭეშმარიტი პროფესიონალები არიან; მათ ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს ახალგაზრდა მსახიობებმა დავით დარჩიამ, ნატა შენგელიამ, არაპროფესიონალებმა ეკა ჩხეიძემ, ტასო ვირსალაძემ.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს არის ლამაზი, მდიდრული ფილმი, რაც ოპერატორის, კომპოზიტორის, მხატვრის, კოსტიუმების მხატვრის, და დეკორატორის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. ფილმის ავკარგიანობა გადამღებ ჯგუფზეა დამოკიდებული. მათი უანგარო დახმარების, ცოდნის, გამოცდილების, ერთგულების გარეშე ნამდვილად გამიჭირდებოდა. მადლობის ღირსნი არიან ოპერატორი ჯიმი ქრისტესაშვილი, მხატვარი დავით საჯაია, კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

**— ბევრმა არ იცის, რომ თქვენ ცნობილი ქართველი რეჟისორის ლევან ხოტივარის შვილიშვილი ხართ...**

— პატარაობიდანვე მიყვარდა კინო და ამ სიყვარულით შევედი მის სამყაროში. ოჯახური გარემოცვაც ხელს მიწყობდა. ბაბუა ლევან ხოტივარი რეჟისორი იყო და ბიძებიც — ქართლოს და ბუბა ხოტივარები, რეჟისორები გახდნენ. მამა ჯუნა თუთბერიძე არქიტექტორი და კინო-მხატვარია.

რაც შეეხება ბაბუას, ეს იყო კაცი, რომლის თვალწინაც გაიარა მე-20 საუკუნემ. რევოლუცია, 37-იანი წლები, დიდი სამამულო ომი. ბუნებით დიდი ოპტიმისტი იყო, ყველა დაბრკოლებას სიყვარულით და სიკეთით სძლევდა. იგი კინოსტუდიის პირველი თაობის წარმომადგენელი და, სხვათაშორის, პირველი ქართული საფეხბურთო გუნდის წევრი იყო ნიკოლოზ სანიშვილთან ერთად. მისი გადაღებულია ფილმი „უდიპლომო სასიძო".

ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა ქართლოს ხოტივარი. ეს იყო უნიჭიერესი რეჟისორი. ამაზე მისი ფილმი „სერენადაც" მეტყველებს. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო გამოემჟღავნებინა თავისი შესაძლებლობები. ჩემი თვალით ვნახე, როგორ შეიძლება განგებამ დასაჯოს ადამიანი.

ბუბა ხოტივარი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს. თემურ ბაბლუანთან ერთად ჩამოაყალიბა სტუდია „ადამი და ევა".

მამა პროფესით არქიტექტორი იყო, მაგრამ ხელოვნების სიყვარულმა კინოშიც მიიყვანა. იგი იყო ფილმების „სერენადას" და „ლაზარეს" კინომხატვარი. საქმისადმი სიყვარული და ერთგულება დამრჩა მათგან მემკვიდრეობად. ამაზე ძვირფასს ვერც ვინატრებდი რამეს, რადგან დღითი-დღე ვრწმუნდები, რომ საქმის ღალატზე და საერთოდ ღალატზე უარესი ამ ქვეყნად არაფერია.

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერაბ მეტრეველი

## ერთხელ კიდევ გამახსენეთ

როგორ მინდა მოგეფეროთ,
გითხრათ დიდი მადლობა.
რომ ცოტა ხნით დამიბრუნეთ
ჩემი ახალგაზრდობა.
ამიფეთქეთ, ამიყვავეთ
გულში იასამანი,
სიყვარულმა გადალეკა
ლამის ყველა სამანი.
ისევ ისე ჭიხვინებდა
ჩემი თეთრი მერანი,
ბობოქრობდა, ზეიმობდა
გული ანაძგერალი
საუკუნის მეოთხედი
მხრიდან გადამეყარა
მეც ოცი წლის ვიყავი და
ჩემი იყო ქვეყანა.
ვაგლახ, მალე გაიფანტა
ეს ღვთიური სიზმარი.
ჩადგა გული საგულეში
თქვენგან ნათილისმარი.
გაწყდა ძაფი ოცნებისა
ვიოლინოს სიმივით
და ბაგეზე შემრჩა მხოლოდ
ერთი მწარე ღიმილი.
თვალებითღა გეფერებით,
უხმოდ გიხდით მადლობას.
ერთხელ კიდევ გამახსენეთ
ჩემი ახალგაზრდობა.

* * *

გამიღიმებდი,
ეს ქვეყანა ჩემი მეგონა,
გაგიღიმებდი,
მთვლიდი მეგობრად.
ბოლოს მივუხვდით,
სინამდვილემ აგვხადა ფარდა
და არაფერი არ შეცვლილა
ღიმილის გარდა.

* * *

ალბათ უფრო სიზმარს ჰგავდა,
ალბათ ასე სწადდათ ღმერთებს,
უცაბედად ჩემს სენაკში
მზის სხივად რომ შემოენთე.
ვიცი, თუ რამ მოგიყვანა,
შეგვახვედრა რა ღვთის ნებამ,
ერთმა დიდმა სიყვარულმა,
და ზიარმა მწუხარებამ.
ჩვენს ყოფაში გასახარი
ნუთუ კიდევ შეგვრჩა რამე,
რომ ნოემბრის ცივი დილა
მაისის დღედ დამიღამე.
ალბათ უფრო ზღაპარს ჰგავდა,
ალბათ ასე სწადდათ ღმერთებს,
ჩემს სევდიან საუფლოში
სიხარულად შემოენთე.

* * *

რა დავარქვა მზის ამ ღიმილს,
ამ სიხარულს არ ვიცი,
ყოველივეს ნუთუ ისევ
ძველებურად განვიცდი.
შენ ჩემს სულში ისე ცისფერ
შუქად შემოანათე.
ველარ ვმალავ, რასაც მხოლოდ
გულში უნდა ვმალავდე.
ჩავლილია სიყმაწვილის
ის დღეები მზიანი,
მაგრამ თურმე ყველაფერი
ჯერ არ არის გვიანი.
თურმე ჩუმად ისევ ვიწვი
ტრფობის ნაკვერცხალითა,
რომ მეგონა სიყვარული
სამუდამოდ წავიდა.

* * *

მომეწონე,
განა გეტრფი,
მე უბრალოდ
შენი ხილვით ვხარობ.
სიყვარული
ზღვა არის და
მოწონება,
როგორ გითხრა, წყარო.
და თუ მაინც
შემაცურებ
სიყვარულის
იმ უძირო ზღვაში,
ნუ ჩამძირავ,
გენაცვალე,
დამაუფლე
მე მის ტალღებს მაშინ.

## არ მოგელოდი

არ მოგელოდი, გაცისკროვნდა უცებ ბუნება,
დაჭრილ სხეულში ჩამეღვარა იის ფერებად
და მიხაროდა შენი ყურება
ცალმხრივი ტრფობის ცრემლიანი
ბედნიერებით
ვგრძნობ შენი გული დაცულია
მავთულხლართებით
რამდენი რამე აღმართულა ჩვენს შორის
მთებად.
და მაინც სულში მკრთალად ნათობს ერთი
სანთელი —
„ყველაზე ბოლოს კაცში თურმე იმედი
კვდება“.

## სიჭაბუკიდან ფოთოლცვენამდე

მე შენ მიყვარხარ არა დაძმურად,
რად გვინდა სიტყვის ყალბი ჟღარუნი.
გულში სხვა ცეცხლის ალი დაძრულა,
უფრო ღრმა არის ეს სიყვარული.

შენ სულ სხვაგვარი გადგას შუქი და
როგორ შორია მაინც შენამდე.
მე შენ მიყვარხარ სიჭაბუკიდან
აგერა თითქმის ფოთოლცვენამდე.

გადაიქროლეს წლების ქარებმა,
აღარა ვგავარ ჭაბუკს ვნებიანს
გულს მაინც სუსხი არ ეკარება
ჯერ კიდევ როდი დამზამთრებია.

უწინდებურად ისევ სავსე ვარ
შენზე ფიქრით და უხმო მუდარით.
ვინ იცის, იქნებ შენი არსება
ბოლოა ჩემი ნავსაყუდარი.

* * *

აპრილი ხეზე შემოჯდა კვირტად
და ჩვენში ლალი ჩიტივით გალობს.
უცებ გაკოცე და გაგიკვირდა,
რად გაგიკვირდა, პატარა ქალო!

სხეულში უხმოდ აფეთქდა დენთი
და სულში ცეცხლი აშარიშურდა
მე [illegible] შენთვის, ო, განა შენთვის,
გაზაფხულისთვის მეკოცნა მსურდა.

* * *

რა ცოტა ხნით, რა ცოტა ხნით
ზეცას შევწვდი ხელებით,
რა ცოტა ხნით დამიურვე
გული განახელები.

რა ცოტა ხნით ამიტაცე,
ამარიდე მიწიერს,
საოცნებო საქანელა
რა ცოტა ხნით მირწიე.

გამიფანტე ჩემი გზიდან
დაბინდული ნამქერი
და ღვთიური სიყვარულით
ერთადერთხელ დავთვერი.

მშორდები და თითქოს ფრთხილად
მიხვევ სულის იარებს,
მას, რაც ერთხელ მიხარე და
მერე დამიზიანე.

გული უხმოდ გეტირება
გულმა ვერ გიმყოფინა,
ქვეყნად თურმე ყველაფერი
რა ცოტა ხნით ყოფილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიჩვენეთ ბედნიერი ჰომოსექსუალისტი და გიჩვენებთ მხიარულ მკვდარს

„ამოდიოდა სტიქიონიდან ტაძიო, ეს ცოცხალი ხატება... ვაჟობის კვირაძალზე ჯერაც სათუთი და ამო, სველი და აწეწილი კულულებით, მოისწრაფოდა, რათა განლტვოდა ზეცისა და ზღვის წიაღს... ნაზ ღვთაებასავით პირმშვენიერი ქმნილება მითიურ წარმოდგენებს აღვივებდა ადამიანში, თითქოს პირველყოფილ ეპოქათა ფორმის დასაბამის და ღმერთების დაბადების ხანის პოეტური მაცნე ყოფილიყო“, — ასე ხედავს გამიჯნურებული დიდი მწერალი ეშენბახი თოთხმეტი წლის პოლონელ ჭაბუკს...

ვისაც ვისკონტის ფილმი — „სიკვდილი ვენეციაში“ უნახავს ან თომას მანის ეს არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი მოთხრობა წაუკითხავს, უყოყმანოდ დაეთანხმება გამონათქვამს: „მიჩვენეთ ბედნიერი ჰომოსექსუალისტი და მე გიჩვენებთ მხიარულ მკვდარს“.

თვით ამ ორი უდიდესი ხელოვანის ნიჭიერებამაც ვერ შეძლო (თუმცა ისინი გარკვეულ სიმპათიებს გამოხატავენ მთავარი გმირის მიმართ), შეემსუბუქებინათ ის შემზარავი შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევს „დემონს აყოლილი“ შუახნის მამაკაცის ფეხქვეშგათელილი ღირსება და სიამაყე. „ყოველივემ ფერი იცვალა, თითქოს სიზმარეული ჩვენება დაიწყო და ქვეყნიერება საოცრად უცხო და მახინჯ იერს იღებდა, რაღაც საშინლად შეურაცხყოფდა და აწამებდა მის თავმოყვარეობას“

კეთილშობილ სულს დაუფლებული სატანა დამარცხდა... ადამიანში გაიმარჯვა ადამიანურმა... „ამაყმა სულმა“ აღარ „იგემა სიძვა“ და სიკვდილი არჩია... „თავზარდაცემულმა მსოფლიომ იმავე დღეს კრძალვით მიიღო ცნობა დიდი მწერლის გარდაცვალების შესახებ“...

ჰომოეროტიკული მოტივი ამ ნაწარმოებისა სულაც არ არის შემთხვევითი. უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანები ინტერესდებოდნენ ამ პრობლემით და სხვადასხვაგვარ განმარტებასა და შეფასებას აძლევდნენ მას. თითოეული მათგანი კი შეესაბამებოდა ამა თუ იმ ეპოქისა თუ ერის კულტურულ ორიენტაციასა და სოციალური ქცევის სტრატეგიას. ურნინგები (ურანიზმი) ეწოდებოდათ „ერთსქესიანი სისიყვარულის“ მოტრფიალეებს ძველ საბერძნეთში, მათი მფარველი ღვთაების ურანის სახელწოდებიდან გამომდინარე. თითქმის იმავე პერიოდს (VI ს. ჩვ. წ.) ეკუთვნის ტერმინი ლესბიანობა (ქალთა ერთსქესიანი სიყვარული). მას ეს სახელი დაუმკვიდრა კუნძულ ლესბოსზე მცხოვრებმა პოეტმა ქალმა — საფომ. თუ ძველ ბერძნებს დავეკითხებით, მათთვის ირანიდან ექსპორტირებული „ერთსქესიანი სიყვარული“ ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. უფრო მეტიც, ათენის მიდამოებში მდინარე ილიოს ნაპირებზე ყვავილებით მორთულ მდელოზე მიმოდიან პლატონის „ნადიმის“ მონაწილენი და ხოტბას ასხამენ იმას, რასაც მოგვიანებით კაცობრიობა სრულიად სამართლიანად სისაძაგლედ აღიქვამს. მაშინ კი სოკრატესა და პლატონთან „მეგობრობის იდეალად“ აღიარებული „ერთსქესიანი სიყვარული“ განუყოფელად იყო დაკავშირებული ყმაწვილის აღზრდასთან მოზრდილი მამაკაცის მიერ, მისთვის ცხოვრებისეული გამოცდილების გადაცემასთან. სწორედ ეს „პედაგოგიური ეროსი“ აძლევდა ამ მოვლენას ზნეობრივ დატვირთვას. არც ის არის შემთხვევითი, რომ ძველ საბერძნეთში ინტიმურობის მოთხოვნილებამ „ერთსქესიან სიყვარულში“ ჰპოვა რეალიზება. ისტორიკოსები ამის მიზეზად ელინური კულტურისათვის დამახასიათებელ — „მამაკაცური საწყისის ჰიპერტროფირებას“ მიიჩნევდნენ. როგორც კი ეს მოტივაცია შესუსტდა და დადგინდა მისი ილუზიორობა, შეიცვალა საზოგადოებრივი აზრიც. რაც უფრო ვცილდებით ანტიკურ პერიოდს, მით უფრო მკაცრდება რეპრესიები ამ ქმედებისადმი სრულ აკრძალვამდე.

ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციისაგან განსხვავებით, როგორც იუდაიზმი, ასევე ქრისტიანობა მას „სოდომურ ცოდვათა“ რიგს მიაკუთვნებს. თუმცა, ბიბლიური ისტორია ამ თემას ნაკლებად ეხება. ეს ტერმინი მოდის ბიბლიის იმ სიუჟეტიდან, სადაც აღწერილია სოდომისა და გომორის დანგრევა. ამგვარი „ღვთიური რისხვის“ ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ იმასაც, რომ ღმერთების მიერ წარგზავნილ ანგელოზებთან ცოდვილებმა ჰომოსექსუალური ურთიერთობის დამყარება სცადეს. ასე რომ, „ძველ აღთქმაში“ მას ის „სისაძაგლე“ ჰქვია, რომელსაც შენდობა არ ეხერხება და ჩამდენი სიკვდილით დასჯას იმსახურებს.

ქრისტიანული მორალი კატეგორიულად უარყოფს ადამიანთა შორის ამგვარ დამოკიდებულებას და მიიჩნევს მას დამახინჯებად, არა მარტო სიყვარულის არსისა ზოგადად, არამედ თვით ცხოვრებისა, რადგან ამგვარი „სიყვარული“ მუქარაა კაცობრიობის არსებობისათვის, როგორც უნაყოფო.

თვით კლასიკური ტერმინი, „ჰომოსექსუალიზმი“ შემოღებულია გაცილებით გვიან, უნგრელი ექიმის კაროი მარია ბენკერტის მიერ. თუმცა მანამდეც და შემდეგაც მას ლიტერატორები, ექიმები, იურისტები, სოციოლოგები თუ ფსიქოლოგები სხვადასხვა სახელით მოიხსე-

ნიებდნენ: „უთქმელი მანკი", „მძიმე ცოდვა", „ცისფერი საყელოიანები", „კრიმინალური დანაშაული", „დევიაცია" (გადახრა), „პათოლოგიური მდგომარეობა", „ფსიქიური დაავადება" და ა. შ. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ამერიკის ფსიქიატრიულმა საზოგადოებამ 1973 წ. „ჰომოსექსუალიზმი" გამორიცხა დიაგნოზების ოფიციალური ცხრილიდან, რადგან აღმოჩნდა, რომ ის ნევროლოგიური სიმპტომები, რაც მას თან ახლდა, გამომდინარეობდა არა დაავადებიდან, არამედ ცხოვრების იმ წესიდან, რომელსაც ეწეოდა ჰომოსექსუალისტი, მართლაცდა, განა იოლია შეინარჩუნო სულიერი წონასწორობა, როცა იძულებული ხდები, რაღაც დამალო, დათრგუნო?

რა თქმა უნდა, ის, რომ ჰომოსექსუალიზმი არ არის ფსიქიური დაავადება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ნორმაა...

თეორიული დავა ჰომოსექსუალიზმის წარმომშობი მიზეზების შესახებ აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა მიმდინარეობს. ზოგი მას სპეციფიკურ ფსიქოპათოლოგიად მიიჩნევს (ფორელი), ზოგი მასში დალტონიზმის მსგავს ანომალიას ხედავს (ემილი და სხვა), ზოგიერთი კი მემკვიდრულ დაავადებად თვლის, სადაც ორგანიზმის განწყობა თანდაყოლილი დეფექტია და „ის უნდა მიიღო, როგორც ფაქტი" (ბლოხი), სამწუხაროდ, ამ „უძველესი მანკის" წარმომშობი მიზეზების დადგენა დღემდე გრძელდება. ყოველი ახალი აღმოჩენა თითქოს გამორიცხავს წინამორბედს... ამგვარმა ფატალურობამ ერთგვარად შეარბილა საზოგადოების დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. დღევანდელ მსოფლიოში ის მერყეობს სრული აკრძალვიდან — სრულ ლეგალიზაციამდე. თვით ადამიანები მას უკვე აღარ აღიქვამენ საშინელებად. ეს დასტურდება ისეთ სახელგანთქმულ პიროვნებებთან დამოკიდებულებაში, როგორიცაა ტრუმენ კაპოე, ელტონ ჯონი და სხვები. ხალხს ისინი უყვარს, მიუხედავად ყველაფრისა...

საერთოდ არასრულფასოვანი, პათოლოგიური პიროვნებები ყოველთვის ცდილობდნენ საყოველთაოდ ცნობილ ადამიანთა შორის ეპოვათ მსგავსი და ამით მაინც დაემკვიდრებინათ საკუთარი ადგილი ცის ქვეშ. ეს სავსებით ლოგიკურია და ალბათ ამასვე მოწმობს ჰომოსექსუალისტ გენიოსთა უგრძესი სია, რომელიც ყოველგვარი რიდის გარეშე ქვეყნდება ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რამდენად სარწმუნოც უნდა იყოს იქ მოყვანილი ფაქტები, ამგვარ სიათა არსებობა მიუღებელია და დამამცირებელი. გარდა ამისა, ამგვარი ატრიბუცია (განკუთვნება) პრობლემურიცაა. მაგალითად, ოსკარ უაილდისაგან ლიტმცოდნეობაში გავრცელდა აზრი შექსპირის ჰომოსექსუალობის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი მისი სონეტი მიმართული იყო მამაკაცისადმი. ეს იმ დროს (XVIII ს.), როცა ამგვარი მიმართვები ლიტერატურაში ნორმად ითვლებოდა.

წარსულის მოღვაწეთა სექსუალური ორიენტაციის დადგენა მეტად სარისკო საქმე უნდა იყოს. ბევრი მათგანი, ვისაც ჰომოსექსუალისტის რეპუტაცია ხვდა წილად, სინამდვილეში ბისექსუალურ ცხოვრებას ეწეოდა, ზოგიერთებს ერთეული შემთხვევები დაუფიქსირეს, სხვანი ეჭვმიტანილნი შეიქმნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ძლიერად იყო გამოხატული ჰომოფილური მოტივები. ხანდახან განაჩენი ჭორის საფუძველზე გამოჰქონდათ მტრების გამონათქვამების გამო. არადა, სანამ პიროვნებას ამგვარი რეპუტაციისათვის გავიმეტებდეთ, საჭიროა გავარკვიოთ არა იმდენად ის, როგორი გახლდათ მისი სექსუალური ორიენტაცია, არამედ ის, თუ როგორ აცნობიერებდა ამას, როგორ განიცდიდა. აიძულა კი ის გაცნობიერებულმა ფსიქოსექსუალურმა მიდრეკილებამ ჩაეკლა ჰომოეროტიკული სურვილები, ჩაკეტილიყო თავისთავში თუ აქტიურად ეძებნა თავისი მსგავსი „სიძვის დასაკმაყოფილებლად". მალავდა კი ის თავის „უთქმელ მანკს," როგორც მარსელ პრუსტი, თუ აღიარებდა, როგორც ანდრე ჟიდი, როგორ გადატყდა ეს ტრაგედია მის პიროვნებაში, როგორი გამოხატულება ჰპოვა შემოქმედებაში-თუკი ეს ყველაფერი არ გაირკვა, მაშინ ეტიკეტი, ჰომოსექსუალისტი ძალიან დაემგვანება ეტიკეტს „მელოტი". და კიდევ ერთი. გენიოსებზე საუბრისას ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ერთი საოცრად ადამიანური და ბრძნული შეგონება: „დაე, ნუ აეხდება ფარდა ხელოვანის გზებზე ბნელით მოცულ ტრაგიკულ კატასტროფებს".

ქართულ ენაშიც არსებობს ჰომოსექსუალიზმის შესატყვისი ტერმინი, „მამათმავლობა". ქართული სინამდვილეც უძველესი დროიდან იცნობდა და საბედნიეროდ, არ სცნობდა ამ სამარცხვინო მანკს. მისადმი ამგვარი დამოკიდებულება ჩანს იქიდან, რომ ქართულმა ლიტერატურამ მხოლოდ ერთხელ დააფიქსირა მისი არსებობა თავის ქვეყნიდან გამოძევებულ უსახლკარო, ავანტიურისტი მამათმავალის, გახრწნილი და ზნედაცემული იური ბოგოლუბსკის „უბედური რუსის" (შ. დადიანი) დახასიათებისას.

საერთოდ, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებრივ ფორმაციაში, სხვადასხვანაირ კულტურაში, უფრო მეტიც, ერთი და იგივე ერის თუ საზოგადოების სხვადასხვა ფენაში ძალზე განსხვავებული შეხედულებებია ქცევისა და მათ შორის სექსუალური ქცევის ნორმების შესახებ.

ჯერ კიდევ საბჭოთა კანონმდებლობით ჰომოსექსუალიზმი განიხილებოდა, როგორც გარყვნილება და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 5 წლის ვადით, (121 მუხლი). დღეს კი, მოსკოვის საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა გაზეთი „თემა". მისმა მთავარმა რედაქტორმა კალინინმა (ყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა) აღნიშნა, რომ ესაა საზოგადოებრივი აზრისაგან დევნილი „ლესბიანკებისა" და ჰომოსექსუალისტების პირველი გამოცემა, რომლის „წმიდათაწმინდა" მიზანია შესცვალოს საზოგადოებრივი აზრი და გააუქმოს 121-ე მუხლი.

როგორც ვხედავთ, დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმისადმი მნიშვნელოვნად კორელირებს არსებული კულტურის ხასიათიდან, მაგრამ საბედნიეროდ, სექსუალური მორალი კულტურის ყველაზე კონსერვატიულ და მყარ ელემენტს განეკუთვნება, რადგან ამ მორალის დამდგენად უპირველესად გვევლინება რელიგია, ბუნების კანონები და მხოლოდ შემდეგ საზოგადოებრივი ინტერესები.

ქრისტიანული რელიგიის მიერ შემუშავებული მორალი ის ჯებირია, რომელსაც ყველა დროის ცუდი ზეგავლენის შეკავება ძალუძს.

ადამის მოდგმას გაჩენის დღიდან უხდება ბრძოლა საკუთარ „ქვენა გრძნობებთან". სათანადო მორალური საფუძვლების გარეშე ეს ბრძოლა ჩვენი დამარცხებით დამთავრდებოდა, რადგან ადამიანში ჯერ კიდევ ბევრია ის „მდაბალი", რაც მას დროდადრო ღმერთს ავიწყებს და საკუთარი გემოვნებისა თუ სექსუალური ინსტინქტების მონად აქცევს: სწორედ ამ მიდრეკილებების ჩასახშობად შექმნა მარადიულმა სულმა ცნობიერება, რომ მისი მეშვეობით გამაგრდეს ადამიანური სული, ნებისყული ძალა პირუტყვულ მიდრეკილებებთან ბრძოლაში. „ვინც დამბადა, შემლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთა".

**მანანა კეიდია,**
**გენეტიკოსი.**

ჯანმრთელობა

# ავთვისებიან სიმსივნეს წინ უძღვის სხვა გადახრები



**გვესაუბრება კახიანის სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს პროქტოლოგიური განყოფილების გამგე, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ქალბატონი გუგული ტაბატაძე**

**— ქალბატონო გუგული, ზოგადად გვიამბეთ თქვენს სპეციალობაზე, რათა მკითხველს სწორი წარმოდგენა ჰქონდეს, რა შემთხვევაში მიმართოს პროქტოლოგს.**

— პროქტოლოგია ბერძნული სიტყვაა და შეისწავლის მსხვილი და სწორი ნაწლავის დაავადებებს. სამოციან წლებამდე ეს დარგი ზოგად ქირურგიას განეკუთვნებოდა და ყველა დასტაქარი, ვინც მუცლის ღრუს ქირურგიაში მუშაობდა, პროქტოლოგიურ ოპერაციებსაც თამამად აკეთებდა, მეც მათ შორის გახლდით . მოგვიანებით გაიხსნა პროქტოლოგიური განყოფილება საქართველოში.

**— და მაინც, რა სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაშია საჭირო სპეციალისტთან ვიზიტი?**

— სწორი ნაწლავის უამრავი კეთილთვისებიანი დაავადება არსებობს: ბუასილი, პარაპროქტიტი, ნახეთქი, პოლიპები, კუდუსუნის ეპითელური ცისტიტები, კონდილომა. ქალებში ამ დაავადებების გამოწვევას ხელს უწყობს ორსულობა, მამაკაცებში სიგარეტი, ღვინო... ჩვენი სამზარეულოს სპეციფიკის გამო საქართველოში პროქტოლოგიური ავადმყოფების რიცხვი დიდია. უარი უნდა ვთქვათ ცხარე, მჟავე, შემწვარ საჭმელებზე, საკვები უნდა იყოს ნაზი და ადვილად მოსანელებელი.

დროულად დასმული ზუსტი დიაგნოზი ჯანმრთელობის სრული გარანტია. პროქტოლოგიური დაავადებები ემორჩილება კონსერვატიულ მკურნალობას. უნდა გვახსოვდეს, რომ ავთვისებიან დაავადებებს წინ უსათუოდ უძღვის სხვადასხვა გადახრები. დიაგნოზის დასმა მარტივად ხდება. უპირველეს ყოვლისა, ბევრი რამ დამოკიდებულია ექიმის კვალიფიკაციაზე. ავადმყოფი სრულიად უმტკივნეულოდ ისინჯება. უკეთდება კოლონოსკოპია. ამის შემდეგ ისმება ზუსტი დიაგნოზი.

**— როგორია პროფილაქტიკა?**

— ყოველი შეგნებული ადამიანი, განსაკუთრებით 30—50 წლამდე, წელიწადში ორჯერ პროქტოლოგს უნდა ესინჯებოდეს, განსაკუთრებით თუ კუჭის მოქმედებისას დისკომფორტს გრძნობს. დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენური წესების დაცვას, სასურველია ყოველი დეფეკაციის შემდეგ ჩაბანვა და მიუღებელია ქაღალდისა და ბამბის ტამპონის გამოყენება.

**— რამდენი ოპერაცია გექნებათ გაკეთებული?**

— უამრავი.

თავიდან ზოგად ქირურგიაში დავიწყე მუშაობა. მუცლის ღრუს ყველა სახეობის ოპერაცია მაქვს გაკეთებული. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსკოვის პროქტოლოგიურ ცენტრში ვმუშაობდი, რომელსაც პროფესორი ალექსანდრე რიჟიხი ხელმძღვანელობდა. ვმონაწილეობდი მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო სესიებში.

**— რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით თქვენი პრაქტიკიდან?**

— იყო შემთხვევა, თანაც რამდენიმე, როცა პაციენტი უიმედო დიაგნოზით შემოსულა, გამოჯანმრთელებული გამიშვია და ბევრი მათგანი დღესაც ცოცხალია.

...თორმეტი წლის გოგონა მომიყვანეს, სასქესო ორგანოების ანომალიით, სრულიად ახალბედა გახლდით, პლასტიკური ოპერაციები მაშინ კანტი-კუნტად კეთდებოდა, სრულიად აუღელვებლად ჩავატარე ოპერაცია. შეიძლება ითქვას, ის გოგონა ხელმეორედ დაიბადა. რა გასამრჯელო შეედრება ასეთ შედეგს! დიდი განცდა მაქვს, ვიდრე დიაგნოზს დავსვამდე, ვღელავ საბედისწერო შეცდომა არ დავუშვა. მადლობას ვწირავ ღმერთს, დღემდე ამ განსაცდელისგან რომ მიხსნა.

**— რა აზრის ბრძანდებით სამედიცინო რეფორმის შესახებ?**

— რეფორმა აუცილებელია, მაგრამ არადროული. ჩვენი საზოგადოება სრულიად მოუმზადებელია ამისათვის.

...უდიდესი ბედნიერება მერგო წილად მემუშავა ისეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც იყვნენ ქართული ქირურგიული სკოლის პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიარქები: კონსტანტინე ერისთავი, ეგნატე ფიფია, დავით ხაზარაძე, აკაკი თელია. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელნიც დიდ ბუნებრივ ნიჭთან ერთად დასტაქრის უბადლო ტექნიკასაც ფლობდნენ, მათ დამაოსტატეს, მათ გვერდით მინდა მოვიხსენიო ჩვენი მთავარი ექიმი, შესანიშნავი დასტაქარი ვარლამ ბორჯაძე. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი, თუ ოპერაციას სხვა ორ საათს ანდომებდა, მე ერთი საათი მყოფნიდა. ჭიანაწლავის ოპერაციას რვა წუთს ვანდომებდი. ასე მგონია, არც მათ მოეწონებოდათ ეს რეფორმა. მათთვის უცხო იყო ანგარება. არც ჩემთვისაა ფული მთავარი, თუმცა მრავალრიცხოვანი ოჯახი მყავს და პრობლემებიც საკმარისი მაქვს. ვკამათობ ახალგაზრდა სპეციალისტებთან, თუმცა მათაც უნდა გავუგოთ. აბსოლუტურად შიშველი ხელებით მიდის დღეს ექიმი ავადმყოფთან.

**— ან ექიმმა რა ქნას ან ავადმყოფმა?**

— მიმღებში გამომიძახეს, მძიმე ავადმყოფი მოეყვანათ, ჩავედი და წასული დამხვდა, ეთხოვათ ფული გადაიხადეო, გაპარულიყო, დავადევნე სანიტარი, ძლივს დავაბრუნეთ თავმოყვარეობაშელახული კაცი. ასეთი პაციენტისგან აღებული ფული როგორ შემერგება? ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ავადმყოფთან ერთად ვკვდები და მასთან ერთად ვცოცხლდები.

**— როგორც ქალმა, როგორც დასტაქარმა, რაიმე საიდუმლო ხომ არ იცით, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს რომ გაუზიაროთ; ასე ახალგაზრდულად და მომხიბლავად როგორ გამოიყურებით?**

— გმადლობთ ქათინაურისათვის. ქირურგებზე ამბობენ, რომ ნერვიულები ვართ, ცოტას ვცოცხლობთ, ყოველთვის ასე როდია.

მიყვარს სპორტი, ახალგაზრდობაში არც თუ ურიგოდ ვცეკვავდი. კოლეგები მეუბნებიან, შენი გრაციოზულობის გამოა ოპერაციები პლასტიკური რომ გამოგდისო. ჩემთვის უცხოა შური, სხვისი წარმატებებით ვცოცხლობ, გაჭირვებულისათვის ყველაფერს უშურველად გავიღებ, მიტევების უნარი მაქვს, ვეთაყვანები ხელოვნებას. ჩემს პატარა შვილიშვილებზე ნაკლებს ვჭამ. ვარ ოპტიმისტი, მჯერა ხვალინდელი ბედნიერი დღის.

ვცდილობ ჩემს ირგვლივ შევქმნა მშვიდი განწყობა, თუ რამდენად ვახერხებ, ჩემმა კოლეგებმა უკეთ იციან.

### ბლიცინტერვიუ

**ნოდარ გრიგოლია,**
**პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის გამგე.**

— არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქალბატონ გუგული ტაბატაძის სახით ქართულ ქირურგიულ სკოლას ერთერთი შესანიშნავი სპეციალისტი ჰყავს, ყველა საუკეთესო თვისებებით შემკული. 30 წელზე მეტია ვიცნობ, ქრისტიანულად აღზრდილი ღირსეული კოლეგაა, ძალზე ენერგიული და ერუდირებული. უტყუარი ალღოს პატრონიცაა. შემთხვევითი არ იყო, ეგნატე ფიფია განსაკუთრებით რომ არჩევდა სხვათაგან. დიდი სტაჟისა და მაღალი რანგის სპეციალისტია. დღეს, როცა ექიმი შიშველი ხელით მიდიხარ ავადმყოფთან, ალღომ უნდა გიხსნას. თუ ეს თვისება გაკლია, ჭეშმარიტ დასტაქრად ვერ ჩაითვლები. მე. მუდამ მოხიბლული ვიყავი ამ ქალბატონის მაღალი პროფესიონალიზმით. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ხანგრძლივ სიცოცხლეს მშვენიერ ოჯახთან ერთად. მის პიროვნებას სხვა არაფერი აკლია.

გულითადად გთხოვთ, არ დაიშუროთ საქებარი სიტყვები ქალბატონ გუგული ტაბატაძის შესახებ, რათა იგი დამწყები ექიმებისათვის სამაგალითოდ დასახოთ.

**ნანული ბუკია**

# „იმედინი“—ახალგაზრდობას გვიბრუნებს

თანამედროვე მედიცინას რაღა არ შეუძლია, მაგრამ, ალბათ, ყველაზე უპრეცენდენტოა, ქალს ახალგაზრდობა ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე დაუბრუნდეს. აბი გადაყლაპო და გაახალგაზრდავდე — ეს ხომ ყველა დროის ქალთა ოცნებაა.

„იმედინი“ — ასე ეწოდება პრეპარატს, რომელიც რვა წლის წინათ გამოიმუშავა დანიის კომპანია „ფეროსანას“-მა. საინტერესოა მისი შექმნის ისტორია. წყნარი ოკეანის სანაპიროს მცხოვრები ზოგიერთი ხალხი დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას და კანის სინორჩეს. ამ ფაქტით დაინტერესდა მეცნიერთა ჯგუფი — გერონტოლოგები, ბიოლოგები, დერმატოლოგები, ფიზიოლოგები. მათ იმ რაიონებს მიაშურეს ინფორმაციის მოსაპოვებლად და უბერებლობის მიზეზსაც მალე მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ ამ ხალხების კვების რაციონი მდიდარია ზღვის წარმონაქმნი პროდუქტებით, რომლებიც შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რაც ხელს უშლის კანის ბუნებრივ დაბერებას.

რვა წლის მუშაობის შემდეგ მეცნიერებმა მიიღეს პრეპარატი „იმედინი“ — კანის გაახალგაზრდავების წამალი. ზღვის პროდუქტებიდან წარმოქმნილი ცილების გარდა იგი შეიცავს თუთიის გლუკონატს და ვიტამინ C-ს, რომლებიც ხელს უწყობენ კანის დანამვას და რეგენერაციას. შედეგი გასაოცარი იყო. „იმედინს“ აღმოაჩნდა არა მარტო მკვეთრად გამოხატული გამაახალგაზრდავებელი თვისება, დერმატოლოგიური დაავადებების მკურნალობის დიდ ეფექტსაც იძლევა.

ამ პრეპარატმა კლინიკური გამოცდა გაიარა მოსკოვის კვების, კანისა და ვენდაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. წამალს უკუჩვენება არა აქვს.

ცნობილია, რომ სახის, ყელის და ხელის კანი ადრე ბერდება, რადგან გარემოს ნეგატიურ გავლენას უფრო მეტად განიცდის, ამიტომ პრეპარატი სხეულის ამ ნაწილების კანის აღდგენაზე არის გათვლილი. შემაერთებელი ქსოვილები, რომელთა ძირითადი კომპონენტებია კოლაგენური და ელასტიური ბოჭკოები, ასაკთან ერთად თხელდება, კარგავს სიმტკიცეს და მოქნილობას. ასევე ემართება უჯრედების წყლით მომარაგებას. ამის შედეგად კანის სისქე მცირდება და ელასტიურობა ქვეითდება, დერმა ცვდება და სახეზე ნაოჭები, სიმშრალე და ასაკობრივი პიგმენტური ლაქები ჩნდება.

და აი, „იმედინის“ გავლენით შემაერთებელი ქსოვილის უჯრედების აქტიურობა სტიმულირებას განიცდის. პრეპარატი კვებავს მათ, ამის შედეგად კანი შიგნიდან სქელდება, ნაოჭები თანდათან სწორდება და კანიც საჭირო სინესტეს ინარჩუნებს.

„იმედინის“ ერთი კურსის ჩატარების შედეგად დერმის სტრუქტურა სრულიად აღსდგება.

„იმედინის“ მიღებით ქალი რამდენიმე წლით ახალგაზრდავდება. ჯანმრთელობის გაუარესების ყოველგვარი საშიშროება გამორიცხულია.

ბუნებრივია, მერე ისევ დაიწყება დაბერება, მაგრამ არა უცებ, არამედ ბუნებრივად, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება.

ფირმა წარმატებას ელოდა რუსეთშიც და მართლაც, პრეპარატზე მოთხოვნილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთ წარმატებას არავინ ელოდა.

ქალის მისწრაფება გაახალგაზრდავებისაკენ ისევე მარადიულია, როგორც სამყარო, რადგანაც ქალი ამაში ხედავს სიყვარულისა და ბედნიერების საწინდარს.

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ურევია თუ არა ქალის გაჩენაში ღმერთი?

„ეჰ, ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო" — ძალიან ნაცნობი ფრაზაა. მითუმეტეს დღეს, ამ გაუსაძლის ყოფაში. მაგრამ დაგვეთანხმებით, ძნელად რომ რომელიმე ჩვენგანმა ადვილად დათმოს თავისი ქალობა. ქალობა, რომელიც პირველ რიგში, დედობას განსაზღვრავს. აბა დაფიქრდით, იმ დიდი ტკივილების შემდეგ შვილის გაჩენით გამოწვეულ სიხარულს ან მკერდზე მიკრულ ჩვილს თუ დათმობდით და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ სიხარულსა და ტკივილს მხოლოდ ქალისთვის გასაგებს, ტკბილ-მწარესა და მაინც ძვირფასს.

ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვით, თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავდით ქალის უდიდეს როლს ბუნებაში. ქალისა, რომელთანაც დაკავშირებულია სილამაზე, სიხალისე, სიყვარული, მომავალი. ამისათვისაა მოწყობილი მისი ორგანიზმი. უნდა გვახსოვდეს, რომ სქესობრივი ცხოვრების, ოჯახური ურთიერთობის, ფეხმძიმობის, დედობის საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ქალის სასქესო ორგანოების მდგომარეობასთან.

კლიმაქსი, რომლის შესახებაც გვინდა გესაუბროთ, ბერძნულად კიბეს ნიშნავს, მიმანიშნებელია ნამდვილად. ხშირად გვსმენია ადამიანის ცხოვრება კიბეაო. ნელ-ნელა ადის ქალი ამ კიბის საფეხურებზე. მენსტრუაციული ციკლის დაწყებას ბავშვობიდან ქალიშვილობის საფეხურზე ავყავართ. ფეხმძიმობას — ქალობის (თუ გნებავთ დაქალების) და მოდის კიდევ ერთი საფეხური ქალის ცხოვრებაში, ესეც ბუნების წესია, ხანა, როდესაც ქალის ორგანიზმი კარგავს გამრავლების უნარს.

კლიმაქსის დაწყების ვადა ინდივიდუალურია. ის შეიძლება დაიწყოს 40 წელზე ადრე ან 50-ზე გვიან, უმეტესად 45-47 წლებში. კლიმაქსის მდგომარეობა დაახლოებით 2-3 წელს გრძელდება.

ეს პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში ფიზიოლოგიურია, რომლისთვისაც ორგანიზმის ასაკობრივი ცვლილებების ფონზე დამახასიათებელია სასქესო ორგანოების უკუგანვითარება.

კლიმაქსური პერიოდი ერთნაირად მნიშვნელოვანი და ემოციურად დატვირთულია როგორც ქალის, ისე მამაკაცისათვის. კლიმაქსის დროს დიდი ძვრები იწყება ტვინის ქერქში. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებსა და თითქმის ყველა ორგანოში ქვეითდება იპოფიზის, თირკმელზედა ჯირკვლებისა და საკვერცხეების ფუნქცია.

კლიმაქსის მოახლოებას ქალი გრძნობს მენსტრუაციის დროს სისხლის რაოდენობის, დღეების ხანგრძლიობის შემცირებით ან საერთოდ შეწყვეტით (მენოპაუზა), მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. იგი ჯერ არარეგულარულ ხასიათს იღებს. ასე შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელიწადს. მენსტრუაციული ციკლის შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ფსიქიურმა ტრავმამ, გადაღლამ, შიმშილმა, დიდი ხნის განმავლობაში ზოგიერთი წამლის მიღებამ და სხვა.

თუ ქალი ჯანმრთელია და ორგანიზმს კარგი ადაპტაციის უნარი აქვს, მაშინ კლიმაქსის პერიოდი გაურთულებლად მიმდინარეობს.

უმრავლეს შემთხვევაში კლიმაქსისათვის დამახასიათებელი პირველი ჩივილი, რომელიც განსაკუთრებით შემაწუხებელია,არის ე. წ. ალები, რომლებიც მძიმე შემთხვევაში დღეღამის განმავლობაში 20-30 ჯერ შეიძლება განმეორდეს.

დამახასიათებელია ოფლიანობა, გახშირებული გულისცემა, ტკივილი მკერდის არეში, თავის ტკივილი, თავბრუ, არტერიული წნევის მომატება,

კლიმაქტერული ხასიათის სომატური ჩივილების უკან ზოგჯერ იმალება ნერვული სისტემისა და ფსიქიკის მოშლილობანი. ცირკულარული ხასიათის დეპრესიების დროს ხშირი და დამახასიათებელია მენსტრუაციული ციკლის ცვლილებები ან საერთოდ შეწყვეტა — მთელი დაავადების მანძილზე, ამიტომ აუცილებელია ამ ცვლილებების დიფერენცირება კლიმაქსისაგან.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ კლიმაქსის დროს ქალი სწრაფად ღიზიანდება, მოუსვენრადაა თითქოს ადგილს ვერ პოულობს ხშირად ტირის; აწუხებს უძილობა, ადვილად დაღლა, დეპრესია. ამ დროს, არც თუ იშვიათად, ირღვევა ნივთიერებათა ცვლა. ზოგჯერ ქალი საკმაოდ ჩქარა სუქდება და ხანდახან — პირიქითაც ხდება.

ძალზე მნიშვნელოვანია ქალის ფსიქოლოგიური მომზადება კლიმაქტერული პერიოდისათვის, ბევრი ქალისათვის კლიმაქსი გათანაბრებულია საშიშროებასთან, რომელიც თითქოს ემუქრება მის ქალურ მიმზიდველობას, შესაძლებლობას იყოს ცოლი, საყვარელი ქალი. შიშობს, რომ მენსტრუაციული ციკლის შეწყვეტის გაგება მისდამი ინტერესს დააკარგვინებს მეუღლეს, საყვარელ მამაკაცს, ერთი სიტყვით, არასრულფასოვან ქალად აქცევს. ამ სიფრთხილის შედეგია შემდგომში ხასიათის შეცვლა, გაუცხოება, რასაც ხშირად მოყვება პრობლემები ოჯახში, პირად ცხოვრებაში.

ალბათ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ქალი ამ პერიოდში დიდ ყურადღებას, გამხნევებასა და სითბოს საჭიროებს ოჯახის წევრებისაგან, გვერდზე მყოფი მამაკაცისაგან.

კლიმაქტერული პერიოდის განმავლობაში დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ რაციონალურ ჰიგიენურ რეჟიმს და სწორ კვებას.

მნიშვნელოვანია პირადი ჰიგიენის დაცვა, რომელიც დაკავშირებულია კლიმაქსის პერიოდის თავისებურებებთან. სასარგებლოა ყველა სახის წყლის პროცედურა (ყოველდღე თბილი აბაზანა ან შხაპი თბილი წყლით). რეკომენდებულია ფიზკულტურა, დილის გამამხნევებელი ვარჯიში, რაც შეიძლება მეტ ხანს სუფთა ჰაერზე ყოფნა. ყველაფერი ეს ხელს უშლის ზედმეტად გასუქებას, აუმჯობესებს გულის მუშაობას, ნაკლებად შემაწუხებელი ხდება ალები.

სასურველია ვიკვებოთ რძისა და ბოსტნეულის ნაწარმით. ნაკლებად მივიღოთ ტკბილი, ცხიმიანი საჭმელი და ცომეული. სასარგებლოა ხილი, თევზი.

კლიმაქსის გართულებულ შემთხვევებში აუცილებლად უნდა მიმართოთ მკურნალ ექიმს და გაითვალისწინოთ ფსიქოლოგის რჩევები.

მკურნალობა სამკურნალწამლო საშუალებებით აუცილებლად უნდა დანიშნოს ექიმმა.

საშიში არაფერია ჩაიხედეთ სარკეში, თქვენ ხომ ძველებურად მომხიბვლელი ხართ.

**ელზა ნიკოლეიშვილი**
**თამუნა უზილავა**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სუბორდინატორები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოთ ტყუპებს!



ტყუპები — სოფიკო და ელენე ლითანიშვილები

ერთი შეხედვით ტყუპები სხვა ბავშვებისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივები არ არიან და მათი გაზრდაც უფრო ძნელია, ვიდრე თავად მშობლებს წარმოუდგენიათ.

ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა ტყუპების რიცხვმა. ზოგიერთები ამას ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებით ხსნიან. აფრიკასა და ცხელ ქვეყნებში ტყუპების შობადობა უფრო მაღალია. არის კიდევ სხვა ფაქტორებიც: რაც უფრო ხნიერია ქალი, მით უფრო მეტი შანსი აქვს ტყუპის გაჩენისა. აგრეთვე, თუ ქალი ხანგრძლივად იღებდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ხოლო შემდეგ შეწყვიტა მიღება და დაფეხმძიმდა, ხშირ შემთხვევაში მას ტყუპი უჩნდება. გარდა ამისა, ტყუპები იმ ოჯახებშიც იბადებიან, რომლებსაც ამის ტრადიცია აქვთ.

ტყუპების ბუნება ასეთია: მათ სულ ერთად ყოფნა სურთ, საწოლშიც ერთმანეთისაკენ ბრუნდებიან, ხელით შეხებას ცდილობენ, როცა წამოიზრდებიან, „მეს“ მაგიერ „ჩვენს“ ამბობენ, სარკის წინ ერთმანეთის სახელს ირქმევენ.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ისინი განვითარებით ჩამორჩებიან. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მხოლოდ ერთმანეთით იფარგლებიან, სხვა მოთამაშეს არ იკარებენ და ისე არიან დაკავებული ერთმანეთით, რომ საკუთარ ენასაც კი იგონებენ, რაც დედასაც არ ესმის.

ჩვეულებრივ დედებს უხარიათ, რომ ასეთი შვილები ჰყავთ და ხელს არ უშლიან ერთმანეთთან თამაშში. არა და, მწარედ ცდებიან. თუ ტყუპებს არ დავაცალკავებთ, თვითეულთან ინდივიდუალურად არ ვიმუშავებთ, სავალალო შედეგს მივიღებთ: ისინი კოლექტივის გარეთ აღმოჩნდებიან და მეგობარს ვერ შეიძენენ, ხანში რომ შევლენ, დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეეძლებათ და სრულფასოვნები არ იქნებიან.

ამიტომაც აუცილებელია პერიოდულად ტყუპების განცალკავება. მაგალითად, დედამ ერთი წაიყვანოს თეატრში, მამამ კი მეორე — ზოოპარკში. ხოლო, როცა ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ. ცუდი არ იქნება, თუ საბავშვო ბაღის სხვადასხვა ჯგუფში ივლიან, მაგრამ მათ ამით ტრაგედია არ უნდა შეექმნათ. ისინი პერიოდულად ერთმანეთს ძალიან ფრთხილად, ტაქტიანად და თანდათანობით უნდა დავაშოროთ.

სწორად არ იქცევიან მშობლები, როცა ერთნაირად კრეჭენ და აცმევენ ტყუპებს. ამით ხელს უშლიან ბავშვის პიროვნულ ზრდას და დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას. მათ სათამაშოებიც და ტანსაცმელიც განსხვავებული უნდა ჰქონდეთ.

ზოგჯერ ტყუპებს საერთო მეგობარი ჰყავთ, რადგანაც ერთნაირი გემოვნებისანი არიან. ხოლო თუ ეს მეგობარი მხოლოდ ერთისაა, მეორე ეჭვიანობს.

დღესდღეობით მსოფლიოში 100 მილიონამდე ტყუპია. ყოველი ასი მშობიარიდან ერთს ტყუპი უჩნდება. ეს ცოტა როდია. ტყუპების რიცხვი თანდათანობით იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემა საყოველთაო ხასიათს იღებს.

**ქსენია ტორშინა,**
მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოგენეტიკის ლაბორატორიის თანამშრომელი.

## იფილო-ბიფილო

### ჩაი უცხოური ბალზამის ნაცვლად

თავი ჩვეულებრივი ბავშვის საპნით დაიბანეთ და გადაივლეთ მაგარი ჩაის ნაყენი. ამ ნაყენის მიღება ძალზე ადვილია.

მთელი კვირის მანძილზე გამოყენებული ჩაი შეაგროვეთ და წამოადუღეთ კონსერვის თუნუქის ქილაში. კარგ ჭურჭელს ნუ გამოიყენებთ, რადგან ჩაი მას გაგიმუქებთ. ორი საათის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ და გულდასმით გადაივლეთ დაბანილ თმაზე. თმა მბრწყინავი გახდება. ნაყენის სიმაგრეზეა დამოკიდებული ოქროსფერი იქნება თმა, თუ წაბლისფერი. ჩაიში ბევრი მორიმლავი ნივთიერებაა, რაც მას უნიკალურ პროდუქტად აქცევს.

ჩინელები ჩაის ბევრნაირად იყენებენ. მივბაძოთ მათ.

### შინაურული საფუარი

ჭიქა ფქვილი ჭიქა თბილ წყალს შეურიეთ და 5-6 საათი დადგით. შემდეგ მიუმატეთ 1 ჭიქა ლუდი და 1 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, კარგად შეზილეთ და თბილ ადგილას დადგით.

მიღებული მასა ჩვეულებრივ საფუარად გამოდგება.

### ქათქათა საფენები

ხშირი რეცხვისაგან გაყვითლებული საფენები კარგად გასაპნეთ და მკრთალ ვარდისფერ მანგანუმის (მარგანცოვკის) ხსნარში ჩაალბეთ ისე, რომ წყალმა სულ დაფაროს. 20 წუთის შემდეგ შეგიძლიათ გაავლოთ, გაწუროთ და გააშროთ. საფენები ქათქათა გამოვა.

### საშინაო აფთიაქი

წყლის პირას მტირალა ტირიფი (ძეწნა) ხარობს. შემოაცალეთ ქერქი, გააშრეთ, გააკეთეთ მისი ნაყენი მდუღარე წყლით.

ნაყენი ტემპერატურას აგდებს, თავის ტკივილს ხსნის, რევმატულ ტკივილს აყუჩებს.

### როგორ შევინარჩუნოთ კბილები

1 ჭიქა ანადუღარ თბილ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი სუფრის მარილი. ყოველ დღე ამ ხსნარით გაიკეთეთ პირის ღრუს აბაზანა — გამორეცხვა 10-15 წუთის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოიკვლიეს ქორწინებისა და განქორწინების პრობლემები. აი, როგორ გამოიყურება ეს პრობლემა ამერიკის სინამდვილეში.**

# ქორწინება და განქორწინება ამერიკულად

● ქორწინებისათვის ოპტიმალური ასაკი ორივე სქესისათვის 25-დან 29 წლამდე მერყეობს.

● ქალების გათხოვების შანსი თანდათან კლებულობს. უკანასკნელ ათწლეულში 70-იან წლებთან შედარებით ქორწინებათა რიცხვი 25%-ით შემცირდა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, უახლოეს ხანებში გასათხოვარი ამერიკელი ქალების მხოლოდ 70% თუ გათხოვდება.

● 55 წელს მიღწეულ დაუქორწინებელთა შორის მამაკაცები დომინირებენ. თუმცა, თუ კი ეს ბარიერი გადალახეს, შემდეგ ისინი უფრო ხშირად პოულობენ ცხოვრების თანამგზავრს.

● დღეს ოთხჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ათიოდე წლის წინათ, ქალები მიჰყვებიან ასაკით უმცროს კაცებს. 35-დან 44 წლამდე ქალების 40% მიჰყვება ბევრად უმცროს მამაკაცებს.

● თუ ქალი 35 წლამდე არ გათხოვდა, მისი გათხოვების შანსი 33 პროცენტია.

● სპეციალური განათლების მქონე ქალების 50 პროცენტი, მომავალ ქმარს სამსახურში ეცნობა. ეს „პროფესიული კავშირები“ ბევრად მყარია, ვიდრე განცხადებით ან მარტოხელათა კლუბების საშუალებით მომხდარი ქორწინება.

● განქორწინებულ მშობელთა ქალიშვილები ერთნახევარჯერ უფრო ხშირად ეყრებიან ქმრებს, ვიდრე კეთილსაიმედო ოჯახებში გაზრდილნი.

● ასიდან 20 გასათხოვარმა ქალიშვილმა შეინარჩუნა ქალწულობა. 25 წლის წინ ქალწულები პატარძალთა შორის ორჯერ მეტი იყვნენ.

P. S. საინტერესოა, როგორ სურათს მოგვცემდა ჩვენში ჩატარებული ანალოგიური გამოკვლევა.

აბა, სტატისტიკოსებო, დიაკაპიწეთ მკლავები!

# ● როგორ ავირჩიოთ მამაკაცი ●

ბევრს უყვარს გახსენება: „აი, რომ არ წავსულიყავი იმ მოსაწყენ საღამოზე, მას ხომ ვერ შევხვდებოდი!“

სისულელეა. თქვენ მაინც იპოვნიდით თქვენი ტიპის მამაკაცს, რომელსაც შეიძლება სხვანაირი ცხვირი, თმის ფერი და განათლება ჰქონოდა, მაგრამ საერთო ნიშნები იგივე ექნებოდა. ეს უეჭველია. რატომ არის, რომ ადამიანები რამდენიმეჯერ ქორწინდებიან და ბედნიერები მაინც არ არიან? ნუთუ ყველა მამაკაცი ერთნაირია? სულაც არა. უბრალოდ, თქვენ ერთნაირებს ირჩევთ.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ იცით, როგორი მამაკაცი გსურთ. ამიტომაც ჯერ კარგად უნდა გაიცნოთ. სად? იქ, სადაც მამაკაცები უფრო მრავლად არიან — სპორტულ შეჯიბრებებზე, კლუბებში.

მამაკაცებს ყოველთვის ურჩევნიათ ლამაზი ქალების გაცნობა, მაგრამ ცოლად ჩვეულებრივს თხოულობენ. ბევრი ლამაზი ქალი კი ხშირად გაუთხოვარია. როცა ქორწინების საკითხი დგება, მამაკაცი იმას ანიჭებს უპირატესობას, ვინც მისი აზრით უფრო ნაზია, სანდომიანი, ნამდვილად შეიყვარებს. მამაკაცებს ყოველთვის იზიდავს პიროვნება, რომლითაც იამაყებს. ამიტომაც თქვენი საქმიანობით ყველასგან უნდა გამოირჩეოდეთ: თუნდაც წყალში ხტომით, მხატვრული სტვენით, ხატვით ან ხუთსართულიანი ტორტის გამოცხობით. მამაკაცს თქვენი ეს შესაძლებლობები უფრო იზიდავს, ვიდრე სილამაზე. იგი აფასებს თქვენს ინდივიდუალობას.

მამაკაცები ხშირად თავიანთ საწინააღმდეგო ტიპებს ირჩევენ. წყნარები — შფოთვებს, თამამები — მორცხვებს, ესე იგი, პარტნიორში ის თვისებები მოსწონთ, რაც თავად არ გააჩნიათ და ძალიან უნდათ კი რომ ჰქონდეთ.

ქალიშვილები უპირატესობას ხშირ შემთხვევაში მაღლებს აძლევენ. ამ მამაკაცებმა იციან თავიანთი ფასი და თვითონაც არჩევანში არიან. დაბალი მამაკაცები კი განიცდიან თავიანთ ნაკლს და გარეგნული აგრესიულობით ინილბებიან. სამაგიეროდ დაბლები უფრო მომზადებული არიან ცხოვრებისათვის და კარგ ქმრებად ითვლებიან.

პარტნიორის არჩევისას ყველაფერს უნდა მიაქციოთ ყურადღება.

იგვიანებს? გაიგეთ რატომ.

ზოგჯერ დაგვიანება თვითდამკვიდრების ხერხია — მამაკაცი თავდაჯერებულია და ფიქრობს: რა უჭირს, დამელოდოს, აბა, სად წავა! და თუ ამგვარი საქციელი ხშირად გამეორდა, იცოდეთ, ეს უკვე საგანგაშოა.

დაუკვირდით, როგორ ექცევა მეგობრებს, როგორ ელაპარაკება დედას ან როგორ მართავს მანქანას. ზოგჯერ ჟესტი სიტყვაზე მეტს ამბობს.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი რჩეული მშობლების მერამდენე შვილია. პირველები ძირითადად ცხოვრების ერთგული თანამგზავრები არიან, მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ და სიძნელეებსაც ადვილად იტანენ. ეს თვისებები მათ ბავშვობიდან უვითარდებათ. უფროსი შვილი უფრო თავმოყვარეა, ჭკვიანი, მშრომელი, რაც მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ უმცროსი დაძმის მოვლა უხდებოდა, არამედ იმითაც, რომ დაბადებამდე უფრო მეტი ჰორმონი მიიღო, ვიდრე მომდევნოებმა, რაც როგორც ჩანს, გავლენას ახდენს გონებრივ განვითარებაზე.

რაც შეეხება დედისერთას, ის უფროსის როლს არ ასრულებდა, იღებდა ყველაფერს, რაც სურდა, ამიტომ შესაძლებელია ცოლიც დედასავით მზრუნველი ურჩევნია.

სხვათაშორის, „დედიკოს ბიჭები“ გვიან ქორწინდებიან. შეიძლება წლობით პირდებოდნენ ქალიშვილს შერთვას და ვერ წყვეტდნენ. ხოლო თუ თქვენ იგრძნობთ, რომ ასეთი მამაკაცის ანკესზე წამოეგეთ, დროზე გაარკვიეთ ურთიერთობები და ლოდინით ტყუილად დროს ნუ დაკარგავთ.

სანამ გათხოვებას გადაწყვეტთ, თავად უნდა იცოდეთ, რას ელით გათხოვებისგან. რა თქმა უნდა, ბედნიერებას — იტყვით თქვენ. მაგრამ საკითხავია, რა მიგაჩნიათ ბედნიერებად?

თუ გსურთ მდიდრულად იცხოვროთ — ეძებეთ ბიზნესმენი, მაგრამ იმედი არ გქონდეთ, რომ ,ის მტვერსასრუტს დაატრიალებს, რადგან მუდამ დაკავებული იქნება საქმით. აკი თქვენ ფულები გინდათ.

თუ ლამაზ ქმარს ისურვებთ — მუდამ უნდა მწყემსოთ, ის ხომ სხვებსაც მოსწონთ.

თუ ისეთი ქმარი გირჩევნიათ, რომელიც მამასავითაც მოგივლით, მაშინ ის თქვენზე ბევრად უფროსიც უნდა იყოს. შეგიძლიათ ოცდაათი წლისამ აკოცოთ პენსიონერს? თუ შეგიძლიათ, მაშინ თქვენი არჩევანი სწორია, მაგრამ ნულა იტირებთ, თუ დისკოთეკაზე არ გაგიშვებთ და თავის ტოლ მეგობრებთან წაგიყვანთ, რაც სულაც არ გაინტერესებთ.

ხოლო თუ თქვენ ისეთ მამაკაცს იპოვით, რომელშიც ცოტ-ცოტა ყველა თვისება იქნება თავმოყრილი, ეცადეთ იგი კეთილად განაწყოთ თქვენდამი. აი, მაშინ კი ჩათვალეთ, რომ ისე გაგიმართლათ, როგორც არავის.

„არგუმენტი ი ფაქტი“

*შოუ–ბიზნესი*

# ქართველები საერთაშორისო პოდიუმებისაკენ იცქირებიან

### მაღალი მოდის ფესტივალი თბილისში



გაზაფხულის მიწურულს სასტუმრო „მეტეხში“ ჩატარდა საქართველოს მოდის საერთაშორისო ფესტივალი — „დიზაინი 96“.

ასეთი ფესტივალი მეორედ მოეწყო თბილისში.

მას წინ უძღოდა ავანგარდისტული მოდის ჩვენება. ახლა ფართო მასშტაბით წარმოადგინეს 15 ქართველი მოდელიორის 150-მდე მოდელი.

მართალია, მდიდარი ქვეყნების მოდების ფესტივალებს თავს ვერ შევადარებთ, მაგრამ ჩვენისთანა პატარა და ღარიბი ქვეყნისათვის ნამდვილად გვარიანად ორგანიზებული მაღალი მოდის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალის გენერალური დირექტორი და ორგანიზატორი იყო მამუკა კიკალეიშვილი. ის განათლებით ენერგეტიკოსია და ამავე პროფილის ასპირანტი, მან შოუ-ბიზნესში სამწლიანი გამოცდილება მოსკოვში მიიღო. იქ გაიცნო ცნობილი მოდელიორები და გადაწყვიტა თბილისშიც დაეფუძნებინა ასეთივე შოუ-ბიზნესის სკოლა.

მართალია, საქართველოში შოუ-ბიზნესი ახლალა იდგამს ფეხს და ცხადია, დონითაც ვერ დავიკვეხნით, მაგრამ ქართველი ქალები შეიძლება კარგი მანეკენები დადგნენ, მათ საამისოდ ბუნებრივი სილამაზე და გამორჩეული გარეგნობა აქვთ, ახლა მთავარია დიდი შრომა.

მეტეხში მოწყობილ ფესტივალში მონაწილეობდნენ 21 მანეკენი ქალი, ოთხი მანეკენი მამაკაცი და ბავშვები.

ქართველმა მანეკენებმა წარმოადგინეს ისეთი მოდელები, რომელთა ტარება ყოველდღიურად შეიძლება და მხოლოდ ერთი საღამოსთვის არაა შეკერილი, როგორც ეს მდიდარი ქვეყნების პოდიუმებისთვისაა დამახასიათებელი.

წარმოდგენილ მოდელებში ჭარბობდა სპორტული და საზაფხულო, ზღვაზე და მთაში ჩასაცმელი ტანსაცმლის მრავალნაირი ვარიანტი, ყოველდღიური ქვედაბოლოები და ბლუზები, გრძელი და მოკლე სარაფნები და გემოვნებით შესრულებული ნაქსოვი კომპლექტები.

მოწონება დაიმსახურა ფაბრიკა „ამირანის“ წამყვანი კონსტრუქტორის ნანა აბულაშვილის მოდელებმა, ქეთი მესხიძისა და მისი შემოქმედებითი სახელოსნოს ნამუშევრებმა (მათი „გობელენის“ ნიმუშები გაიყიდა რუსეთში), ლალი ელოშვილის შესანიშნავმა მოდელებმა — ნაქსოვის სტილში, (რომელიც შესულია საპატიო დიზაინერთა წიგნში), ქეთი იაშვილის, ვერიკო კუპრაძის და სხვათა მოდელებმა.

მართალია, ახალდამწყები მანეკენები კარგად გამოიყურებოდნენ, თამამადაც ფლობდნენ პოდიუმს, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა სიარულის მანერის შეზღუდულობა და მაკიაჟის არაბუნებრივი სიჭარბე. მიუღწეველი არაფერია. დადგება დრო და ქართველი მოდელიორები და მანეკენები უცხოეთში აიმაღლებენ კვალიფიკაციას, მერე აქაც მოიწვევენ მაღალი კლასის პროფესიონალებს დასახმარებლად.

მეტეხში გამართული საქართველოს მოდის ფესტივალი ერთგვარი გამოცდა იყო. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ნამდვილი შოუ-ბიზნესისაკენ. ჩანს, რომ მალე ქართველი მოდელიორები და მანეკენები საერთაშორისო მოდის ფესტივალებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტარული ქრონიკა

დემი მურს ყველაფერი აქვს ცხოვრებაში, ბევრი ფული, სახელი, კარგი ქმარი და სამი ერთმანეთზე უკეთესი ქალიშვილი, მაგრამ, როგორც ჩანს, სრული ბედნიერებისათვის კიდევ მეტი ყოფილა საჭირო. ჩემი ცხოვრება აბსოლუტურად შეიცვალა, როცა ექიმ დიპაკ ჩოპრას შევხვდიო, ალიარა მსახიობმა. დიპარ ჩოპრა ინდოელი ექიმია, რომელიც საკუთარი მეთოდით მკურნალობს პაციენტებს და მისი რჩევების შესრულების შემთხვევაში, გარანტიას იძლევა, რომ ნებისმიერ ადამიანს 180 წელი აცოცხლებს. სწორედ უკანასკნელმა პერსპექტივამ მოხიბლა მსახიობი, რომელიც აქამდე, მისივე ქმრის სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტრაქტების მეტს არაფერს კითხულობდა, ახლა მის სამაგიდო წიგნად ჩოპრას მოძღვრება „წარმატების შვიდი სულიერი კანონი" იქცა, ბრუს უილისი ექიმზაზე უწოდებს ცოლის მკურნალს და თვლის, რომ არც კი ღირს 180 წელი იცხოვრო. — ამ ასაკში ჩვენ კინოში არავინ მიგვიწვევს სათამაშოდ, — ასევე განუცხადა ცოლს. მაგრამ დემი მურის გადარწმუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა, მან ინდოელი ქალის ტანსაცმელში გადაცმულმა იმოგზაურა თავის გურუს სამშობლოში და დიდი იმედი აქვს რომ თუკი ჩოპრას რჩევებს შეასრულებს, სამი ქალიშვილის შემდეგ ნანატრი ბიჭის გაჩენასაც შეძლებს.

*

უკვე ერთი წელი გავიდა არგენტინის პრეზიდენტის კარლოს მენემის ვაჟის კარლიტის ავიაკატასტროფაში დაღუპვიდან. დედამისი, სულემა იომა თვლის, რომ მისი შვილი მოკლეს და რომ გამოძიება განზრახ ფარავს მკვლელების კვალს. ამ ტრაგედიის შემდეგ სულემა ქმარს გაშორდა და ახლა შვებას ლოცვასა და ყურანის კითხვაში პოულობს.

*

სინდ ქროუფორდი მადრიდში ჩაფრინდა, რათა საზეიმოდ გაეხსნა ცნობილი ამერიკული ფირმის „ემ სი ემის" პირველი მაღაზია ამ ქალაქში. თავის პირად ცხოვრებაზე დასმულ შეკითხვებს სინდიმ მოკლედ უპასუხა: მოვა დრო, როცა დიდი ოჯახი მექნება და საღამოებს ქმარ-შვილისთვის ვახშმის მზადებაში გავატარებო.

*

84 წლის ფრანგი ნელი ვინოტი პირველი ქალია, რომელსაც სპეციალურმა კომისიამ ფეხბურთის მსაჯის წოდება მიანიჭა. ნელი ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს და მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობაზე ოცნებობს.



*





ცნობილი ესპანელი სოპრანო მონსერატ კაბალიე პირდაპირ წარმოდგენიდან გააქანეს ბარსელონას ცენტრალურ კლინიკაში, სადაც თიაქარის მძიმე ოპერაცია გაუკეთეს. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე გამოჯანსაღების გზაზე დამდგარ მომღერალს, ჭრილობიდან ინფექცია შეეჭრა და ექიმებს მისი ხელახალი გაჭრა მოუხდათ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.



*

ხულიო იგლესიასის ერთ-ერთმა ვაჟმა ენრიკემ გადაწყვიტა მამამისის კვალს გაჰყვეს. 20 წლის ენრიკემ, რომელიც ძალიან ჰგავს მამამისს ახალგაზრდობაში, უკვე ჩაწერა ორი კონცერტი და თაყვანისმცემელთა არმიაც გაიჩინა. — ამჟამად შეყვარებული არ მყავს და ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო, — განაცხადა ახალგაზრდა მომღერალმა. მაგრამ თუკი ენრიკე იგლესიასი ქალებთან ურთიერთობაშიც თავის ცნობილ მამას დაემგვანა, მარტოობაზე დიდხანს აღარ მოუწევს წუწუნი.

ესპანური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა

თეა გვასალიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა ფართო კლანით:

# რატომ ავადმყოფობენ ქალები?

## უსიყვარულოდ

ადამიანის ავადმყოფობას ხშირად სოციალური პირობები განაპირობებს. უსამართლოდ მოწყობილ სოციუმისაგან ქალები უფრო ზარალდებიან, რადგან მეტად ემოციურები არიან. გარემო პირობებზე დეპრესიული რეაქცია მჭიდროდაა დაკავშირებული X ქრომოსომასთან, ანუ ქალის ქრომოსომასთან. ნევროზს ხშირად იწვევს აუნაზღაურებელი დანაკარგები — ახლობლის სიკვდილი, სამსახურის დაკარგვა. სტრესი კი თავის მხრივ იწვევს კუჭის წყლულს, სტენოკარდიას, ინფარქტს, კანის ავადმყოფობას. უსიყვარულოდ ცხოვრებას ქალი დეპრესიამდე მიჰყავს.

პლატონის განმარტებით სიყვარული ერთ-ერთი მართებული მანიათაგანია, მაგრამ ქვეყნად უამრავი მამაკაცია, რომლებიც მექანიკურად ასრულებენ თავიანთ სექსუალურ ფუნქციას. ეს მათი პიროვნების განსაკუთრებული კონსტრუქციაა — ემოციური სიჩლუნგე. მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ემოციური, ამაღლებული სიყვარული, სექსუალური მექანიკა მიუღებელია და არაბუნებრივია. ამიტომ, როცა მგრძნობიარე ქალი ხვდება ემოციურად განუვითარებელ კაცს, ის ძალიან იჩაგრება.

**ს. ოვსიანიკოვი,**
მოსკოვის სემაშკოს სახელობის ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის
გაზეთი „დოჩკი — მატერი“, 1996 წ. III.

## თავი მაშინ გტკივა, როცა არ უყვარხარ

ჩემი საექიმო გამოცდილება უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ქალების ძირითადი ავადმყოფობა უძილობაა. ამ ჩივილით მიღებაზე მოსულთა თითქმის 99 პროცენტი ქალია. ჰიპერტონია — 90%; გასტრიტი — 90, თავის ტკივილი — 83, დიაბეტი — 83, გულის ავადმყოფობები — 83 პროცენტი.

ქალის ავადობის მიზეზი ხშირად ჰორმონალური ცვლის გაუარესებაა. ქალს ან საერთოდ არ ჰყავს მამაკაცი, ან ის საძაგლად იქცევა. ბევრმა მამაკაცმა არ იცის, როგორ უნდა ექცეოდეს ქალს. ქმარი, რასაც აკეთებს, აკეთებს მექანიკურად, უემოციოდ და თავისი მოვალეობა მოხდილი ჰგონია. არ ფიქრობს ცოლის გახარებაზე, მის სიამოვნებაზე. ის კი არა, თავისი სამსახურის პრობლემებით ცოლს დამატებით სანერვიულოს უჩენს. ქალი, რომელსაც ქმარი უყვარს, გვერდზე არ გაიხედავს, პრობლემები კი გროვდება და... იწყება უძილობა, თავის ტკივილები. ექიმები ასეთ შემთხვევებში ქალს ჰორმონალურ აბებს უწერენ. როცა ქალი ასეთ აბებს ხანგრძლივად იღებს, ეცვლება სახის ნაკვთები, ეფუყება, ემჩვარება სახე, ჰკარგავს მიმზიდველობას და ასე იკვრება წრე. იმას კი არ უნდა ვუმკურნალოთ, რაც ასეთ ქალს სტკივა, არამედ მივაკვლიოთ ამ ტკივილის მიზეზებს.

**ა. გუდილინა,**
ბიოენერგოთერაპევტი.

## სიზმრის ახსნა

აუზის ნახვა წყლით — პატიოსნების და ბედნიერების ნიშანია

აუზში ბანაობა — ცუდია, მაგრამ ბოლო კეთილი

აუზი დამშრალი ნახო — უნაყოფო წელიწადი იქნება

აბანოში შესვლა — დარდისა და ბოროტების ნიშანი

არყის სმა — სირცხვილისა და სიმწრის ნიშანია

ბალი ჭამო — ცუდია და სინანული

ბუდე ფრინველისა — სიხარულისა და ბედნიერების ნიშანია

ბებერი ნახო — კარგია და ჯანმრთელობა მოგეცეს

ბეჭედი — სიხარულისა და მალე ქორწინების ნიშანია

ბეჭედი თვლებით მოჭედილი — დიდი სარგებლობის ნიშანია

ბეჭედი გატეხილი — ცუდი და საზიანო ამბავს მოასწავებს

ბუზის ნახვა ცუდია, ვინმეს უთუოდ მოიმდურებ

ბუხარი ნახო — სიმდიდრისა და ფართო ოჯახისა ანუ წარმატების ნიშანია

ბრმა თუ ნახო — ავადმყოფობას გამოივლი

გველის კბენა — ცუდი ნიშანია, ჩანს მტერი ადვილად მოგერევა

გველი თავის სოროში ნახო — მეუღლე მტრად გადაგეკიდოს

გოგრის ნახვა ანუ ჭამა — ცუდია, ავადმყოფობის ნიშანია

გემები საომარი ნახო — ომიანობის და ჩხუბის ნიშანია

გემი დატვირთული — დიდი დოვლათის და სიმდიდრის ნიშანია

გვამი მკვდრისა საფლავიდან აღდგენილი— სიხარულის ნიშანია

გამხმარი ხე — სიკვდილისა და ხანგრძლივი ავადმყოფობის ნიშანია

დათვის ხმა თუ გაიგონო — ახალ ამბავს გაიგებ

დიდი ქარიშხალი თუ ნახო — დიდი არეულობისა და ჩხუბის ნიშანია

დამარხვა მკვდრისა — საწადელი აგისრულდეს

დახრჩობა — ავი ამბავია, ანუ კარგი რამ ნივთი დაგეკარგება

დაქორწინება ნახო — მწუხარების ნიშანია

ეკლესია გაბრწყინებული ნახო — სამოთხის ნიშანია

ეკლესიაში შედიოდე და ილოცო — ძალიან კეთილი ნიშანია

ვაზის ნახვა ცუდ რამეს, ანუ ავადმყოფობას ნიშნავს

ვენახში შესვლა და ყურძნის კრეფა — ავდარია

ვაზის ჩარგვა — ძალიან კარგია, ბედნიერებას მიაღწევ

ზღვა ნახო აღელვებული — ცუდია და არეული შფოთებია

ზღვაში ბანაობა — ძალიან კარგია, გულის საწადელი აგისრულდება,

**ეფრემ-ვერდი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია  კულინარია

## უმი კომბოსტოს სალათი

500 გრამი კომბოსტო და 200 გრამი სტაფილო დაჭერით ძალიან წვრილად (ძაფისებურად), შეურიეთ წვრილადვე დაჭრილი ქინძი, კამა და ოხრახუში. მოაყარეთ მარილი და აურიეთ ისე, რომ არ მოიღვანთოს; მოაყარეთ 1 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი და მოასხით თანაბარი რაოდენობით შერეული ძმარი და წყალი. სასალათეზე გადმოღების შემდეგ ზემოდან მოასხით ზეთი თქვენი თვალის ზომით.

## კარტოფილის სალათი

500 გრამი მოხარშული კარტოფილი დაჭერით პატარა ოთხკუთხედ ნაჭრებად, შეურიეთ 200-300 გრამი მსხვილ სახეხზე დახეხილი სტაფილო, 2 კონა ახალი ქორფა ხახვი, ას-ასი გრამი ქინძი, კამა და ოხრახუში, მოაფრქვიეთ მარილი და შავი პილპილი. აურიეთ, მოასხით ცოტაოდენი მზესუმზირის ზეთი.

## ნუგბარი შავი ქლიავისაგან

შავი ქლიავი გარეცხეთ, ცოტა ხანს დაალბეთ ადუღებულ ცივ წყალში, (მიაქციეთ ყურადღება ძალიან არ დარბილდეს), გამოკურკეთ, გულში ჩაუდეთ ნიგოზი ან თხილი, გააშრეთ (თუნდაც სათითაოდ, ქაღალდის ხელსაწმენდით), ამოგანგლეთ შაქრის ფხვნილში, დააწყვეთ ლამაზ თეფშზე და თავი მოიწონეთ სტუმართან თქვენი შემოქმედებით.

## ვაშლდვეზელა

კარგი ჯიშის ვაშლი დაჭერით სიბრტყეზე (თითო ვაშლი 4 ნაჭრად) ისე, რომ ვარსკვლავისებურად განლაგებული კურკები დაუტოვოთ. მათზე დადეთ თითო ან ნახევარი ლებანი ნიგოზი ან თხილი (უმჯობესია მოხალული) და მორთეთ ნებისმიერი კრემით, როგორც ჩვეულებრივ ნამცხვარს — „ტარტალეტკას" რთავთ.

# • რჩევა •

## თუ გსურთ მამაკაცს მოსწონდეთ

მთელი გრძნობით გიყვარდეთ და დაანახეთ, რომ გიყვართ და ენდობით. შეაქეთ, აღფრთოვანდით მისი ჭკუით, მიმზიდველობით, მისი გარეგნობით, განსაკუთრებით სხვების თანდასწრებით.

იყავით მისდამი ხალხთან ნაზი და ხშირად შეახსენეთ, რომ თქვენსავით არავინ შეიყვარებს.

არასოდეს არაფერზე უსაყვედუროთ, საყვედურის ნაცვლად თუ გეტირებათ, თავს ნუ შეიკავებთ, წამოიტირეთ, მხოლოდ არა სლუკუნით.

ნურასოდეს გამოიჩენთ მისადმი სიმკაცრეს, ნურც სხვისადმი — მისი თანდასწრებით.

თუ არ მოგწონთ ან არ გიყვართ მისი მშობლები, მას მაინც ნუ აგრძნობინებთ, პირიქით, ეცადეთ გამოხატოთ მათდამი პატივისცემა, განსაკუთრებით დედისადმი. ამასობაში მართლა შეგიყვარდებათ, რაც თქვენს სასარგებლოდ წარიმართება.

ნუ მოაბეზრებთ თავს. დრო და დრო მიეცით განმარტოების საშუალება, არ დაიმციროთ თავი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე იჭვნეულად კუდში არ სდიოთ.

ეცადეთ ყოველთვის კარგ ხასიათზე იყოთ მასთან. იყავით მოღიმარი და ალერსიანი, როდესაც ის უხასიათოდაა.

არასოდეს, არავის ეკეკლუცოთ მის დასანახად. არ მისცეთ იოტისოდენა საბაბი ეჭვიანობისათვის.

ნუ ეცდებით დაუმტკიცოთ, რომ მასზე ჭკვიანი ხართ. ეს აღიზიანებს მამაკაცის ბუნებას. ისე მოაჩვენეთ თავი, რომ ის ყოველმხრივ თქვენი საყრდენია.

არ დაუწუნოთ არანაირი საჩუქარი და მოგწონთ თუ არ მოგწონთ, მიიღეთ დიდი სიამოვნებით.

ეცადეთ მოამზადოთ გემრიელი კერძები, მაგრამ არასოდეს დააძალოთ, თუ ჭამა არ უნდა.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 31.05.96 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.09.96 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 1.000. შეკვ. 684.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი

**თარაზულად:** 7. გადასაყარი ექსპორტი. 8. კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი. 10. წელთაღრიცხვის სისტემა. 11. წვრილად დაჭრილი ცომი. 12. ქართველი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი, ქართული პიანისტური სკოლის ფუძემდებელი. 15. ჰერმეტულად დახურული მინის პატარა ჭურჭელი წამლისათვის. 16. ჭექა-ქუხილის, წვიმისა და ქარის ღვთაება ძველი აღმოსავლეთის ზოგი ხალხის რელიგიაში. 19. იტალიელი კინორეჟისორი. 22. ძველი ქართული სატირიკული სამსახიობო ჟანრი. 23. რაიმე საბუთის, სურათის პირი. 24. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 25. ორ წელიწადში ერთხელ გამართული საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი. 28. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ესპანეთში ძველად. 29. ვალის წინდი. 31. სისხლნაკლულობა. 35. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული — მასკარადი. 37. ქალაქი უნგრეთში. 38. აგათა კრისტის ნაწარმოების პერსონაჟი. 39. სპეციალური ტანსაცმლით გამოწყობილი პერსონალი ცირკში, რომელიც ემსახურება არენას წარმოდგენის დროს. 40. კომედიური ხასიათის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელშიც გამოყენებულია თანამედროვე ყოფითი მუსიკის, ქორეოგრაფიის, ოპერეტის, ოპერის გამომსახველობითი საშუალებანი.

**შვეულად:** 1. ამერიკელ ზანგთა საცეკვაო მუსიკის ფორმა, ჯაზის ერთ-ერთი წინამორბედი. 2. სხვადასხვა ფერის მინერალი. 3. ე. კლიმოვის ფილმი. 4. საუკეთესო ხარისხის ბროლი. 5. XIX ს. ინგლისელი მწერალი. 6. სოფოკლეს ტრაგედია. 9. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ძველი ჟანრი. 13. ოთხწლიანი პერიოდი ოლიმპიურ თამაშებს შორის ძველ საბერძნეთში. 14. ხუთკუთხიანი შენობა, რომელშიც მოთავსებულია აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო. 17. ცნობილი გერმანული ფირმის (სპორტული ტანსაცმლის) მეპატრონე. 18. ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები. 20. ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი. 21. ქვა ან ნიჟარა, რომელზედაც რელიეფურად ამოკვეთილია ჩუქურთმა. 26. ნახაზის ან ნახატის პირველი ვარიანტი. 27. ჩილელი პოეტი ქალი. 30. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი. 32. ომონიმებით გარითმული ლექსი. 33. ხევდიანი ლირიკული ლექსი. 34. ფანტასტიკური ცხოველი ანტიკურ მითოლოგიაში. 35. ქართველი მსახიობი რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი და თეატრალური მოღვაწე.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა



ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 1 ლარი

КОНТРОЛЬНЫЕ